10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.017

მერაბ კალანდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
merab.kalandadze@tsu.ge

პროფესორი გივი გამრეკელი

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს ცნობილი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი გამრეკელის (1932-2018) ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი შემოქმედება. შევეცდებით განვსაზღვროთ მისი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს თემა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი და წინამდებარე ნაშრომი, ფაქტობრივად, ამის პირველი მცდელობაა. ის ქართულ საზოგადოებას დაეხმარება ისტორიულ მეცნიერებაში მის წვლილზე ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას. ჩვენი მიზანიც, სწორედ, ეს გახლავთ.

***

ძველი მსოფლიო ისტორიის ქართველ მკვლევართა შორის, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტული და გამორჩეული პიროვნება გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გივი გამრეკელი. ის იყო თავისი დარგის ერთ-ერთი საუკეთესო და კომპეტენტური სპეციალისტი. არაჩვეულებრივად ერუდირებული, უაღრესად განათლებული, ძალზე წიგნიერი, კულტურული, ადამიანი. ძირძველი ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი. დღეს ისინი ძალიან ცოტანი დარჩნენ ანდაც უკვე აღარ არიან. მათ მოფრთხილება უნდათ. ისინი მიდიან.

პროფ. გივი გამრეკელმა თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია, შესწავლა, მეცნიერული კვლევა. ის იყო ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი, რომელიც ძალიან კარგად ერკვეოდა როგორც ძველი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიაში, ისე ანტიკური ქვეყნების, ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიაში. ის იყო ძალიან კარგი ლექტორი და სერიოზული მკვლევარი. მისი ლექციები ყოველთვის საინტერესო იყო. ის ამჟღავნებდა ფაქტობრივი მასალის ზედმიწევნით კარგ ცოდნას, რომელიც გამყარებული გახლდათ წყაროების და საკვლევი ლიტერატურის გააზრებით, რომელიც ფაქტის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტ ნათელს ჰფენდა. ლექცია სასიამოვნო მოსასმენი იყო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ის არ იყო მხოლოდ ძველი მსოფლიო ისტორიის კარგი სპეციალისტი. პირველ ყოვლისა ის იყო ძალზე განათლებული, ერუდირებული, წიგნიერი ადამიანი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა არა მარტო ძველი ისტორია, არამედ მთლიანად მსოფლიო ისტორია, მსოფლიო ლიტერატურა, ხელოვნება, თეატრი, მუსიკა. იყო სპორტის, პირველ რიგში კი, ჭადრაკის და ფეხბურთის ტრფიალი. ჩინებული სპორტული ჟურნალისტი, მოჭადრაკე. თამაშობდა ჭადრაკს, იყო ოსტატი. მონაწილეობდა ტურნირებში. მასთან ურთიერთობა საინტერესო იყო, როგორც სტუდენტების, ისე მისი კოლეგებისათვის. ხშირად ეს ერთი წიგნის წაკითხვის ტოლფასი იყო. სწორედ, ამაში მდგომაარეობდა მასთან ურთიერთობის ხიბლი.

***

მოკლედ გადავავლოთ თვალი მის განვლილ გზას, დავიწყოთ ბიოგრაფიით. გივი გამრეკელი დაიბადა თბილისში 1932 წლის 30 სექტემბერს. მამა დავით გამრეკელი. დედა ნინო გელდიაშვილი. მამა იყო საკმაოდ კოლორიტული ფიგურა. მან 1918 წელს ჩააბარა სიბრძნისმეტყველების ასე ერქვა თავიდან ისტორიის ფაკულტეტს და იყო უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებული. არ ვიცით რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ თავისი სპეციალობით არ უმუშავია. როგორც

მისი ქალიშვილი ქ-ნ თინა იხსენებს, ის იყო რუსული ენის მასწავლებელი. დედას, როგორც ქ-ნ. თინამ გაიხსენა, ასევე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაუმთავრებია, მაგრამ სპეციალობით არ უმუშავია. დიასახლისი იყო. ბუნებრივია, იბადება კითხვა ხომ არ განაპირობა ოჯახურმა გარემომ ბ-ნ გივის პროფესიული არჩევანი? *

ბ-ნ გივი სწავლობდა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. თავის ვიწრო სპეციალობად ძველი მსოფლიო ისტორია აირჩია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა რა გზას დასდგომოდა? არჩევანი საკმაოდ დიდი იყო. ისტორიული მეცნიერება, სპორტული ჟურნალისტიკა, ჭადრაკი.

მისი მოღვაწეობა პირობით ორ პერიოდად შეიძლება გავყოთ. ის აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ის ფრიად ნიშანდობლივი იყო იმ ისტორიკოსებისათვის, რომლებსაც საქმიანობა მოუხდათ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში.1.მისი შემოქმედება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. 2. მისი საქმიანობა პოსტსაბჭოთა პერიოდში.

50-60-იანი წლები საინტერესოა და, ჩვენი აზრით, ცხოვრებაში საკუთარი გზის მოძიების ხანად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს 70-იანი წლების დასაწყისი, კონკრეტულად კი 1970 წელი. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას. ის მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მისი მოღვაწეობის შიდა პერიოდიზაციასთან. ის პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება გაიყოს: 70-იან წლებამდე და 70-იანი წლების შემდეგ. ის სრულდება 90-იანი წლების დასაწყისში და კვლავ უშუალოდაა დაკავშირებული პოლიტიკურ კატაკლიზმებთან, სახელდობრ, საბჭოთა კავშირის

---

*ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ ბ-ნ გივის დას ქ-ნ თინა გამრეკელს, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია მშობლებზე.

დაშლასთან. აქედან მოყოლებული იწყება მისი საქმიანობის მეორე პერიოდი, რომელიც, პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს. მათ შორის წყალგამყოფად, რა თქმა უნდა გვევლინება 2006 წელს გატარებული რეფორმა, რომლის შედეგად ის სავსებით უსამართლოდ ჩამოაშორეს საყვარელ საქმეს. მას ჯერ კიდევ ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო და მრავალ კარგ საქმეს გააკეთებდა. ცხოვრების ბოლოს მისი პასიურობის მიზეზი, სწორედ, აქ ძევს. მისი მდიდარი პოტენციალი გამოყენებული არ ყოფილა, საქმე გვაქვს ასაკობრივ დევნასთან. პირველ ეტაპზე მისი მთავარი ნაშრომი იყო საკანდიდატო დისერტაცია „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“ ხოლო მეორე ეტაპზე კი მისი მთავარი ნაშრომია სადოქტორო დისერტაცია „ამიანე მარცელინე, როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე“. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, რომ მას ორივე ეს ნაშრომი გამოექვეყნებინა. მაგრამ ის რატომღაც ასე არ მოიქცა, რატომ გააკეთა ეს, ძნელი სათქმელია. ჩვენი აზრით, ეს ნაბიჯი გამართლებული არ იყო. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ქართულ ანტიკოლოგიაში მან გაცილებით უფრო მოკრძალებული კვალი დატოვა, ვიდრე რეალობაში იყო.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის კვლავინდებურად ერთგულობს სპორტულ ჟურნალისტიკას და ჭადრაკს. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროდუქტიული სპორტული ჟურნალისტი. ჭადრაკსაც ბოლომდე უერთგულა. ის იყო ერთ-ერთი საინტერესო საჭადრაკო მიმომხილველი, რომლის სტატიებსაც ყოველთვის ინტერესით მოელოდა მრავალრიცხოვანი მკითხველი, მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორი. ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა ჟურნალისტიკის სფეროში, ასეთი ინტენსიური მუშაობა ხელს ხომ არ უშლიდა სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში? კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია.

შრომითი საქმიანობა მან დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, ის, უპირატესად, სპორტულ ჟურნალისტიკასთან ასოცირდებოდა. 1952 წლის მაისიდან 1970 წლის დეკემბრამდე ის მუშაობდა გაზეთებში „კომუნისტი“, „თბილისი“, „ლელო“, ჟურნალი „დროშა“, იყო საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი

(ბილეთის ნომერი 56064) (1). 1957 წლის ოქტომბრიდან 1959 წლის მარტამდე მუშაობდა ხელშეკრულებით საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ერთი შეხედვით ისე ჩანს თითქოს ის ჩამოშორდა ისტორიულ მეცნიერებას, ძველ მსოფლიო ისტორიას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. 1960 წელს ის ჩაირიცხა ასპირანტურაში, ძველი ქვეყნების ისტორიის განხრით, დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელსაც ის ასრულებს 1964 წელს. ის იყო პროფ. მათე ალექსიშვილის ასპირანტი. 1967-1969 წლებში საათობრივი ანაზღაურების წესით მუშაობდა ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ილიას უნივერსიტეტი), მსოფლიო ისტორიის კათედრაზე. 1969-1970 წლებში ის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის მასწავლებელი, საათობრივი ანაზღაურების წესით. პროფესორ მათე ალექსიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ის ჩაირიცხა სრულ შტატში. მან თითქმის ოთხი ათეული წელი იღვაწა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თავისი კვალი დატოვა როგორც ლექტორმა და როგორც მკვლევარ-ისტორიკოსმა. 1971-2004 წლებში ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის დოცენტი, ხოლო 2004-2006 წლებში იმავე კათედრის პროფესორი. (1)

1970 წლის 11 დეკემბერს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“.

1971 წლის 7 ივნისს საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის დადგენილებით მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ცოტა ხნის შემდეგ კი არჩეული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის დოცენტად. (1)

2004 წლის 2 აპრილს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ამიანე მარცელინე, როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე“. მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და ცოტა ხნის შემდეგ არჩეული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის, პროფესორად. (1)

„2006 წლის 1 სექტემბერს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ის გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან“ (1) ასეთია ოფიციალური ვერსია. რა მოხდა სინამდვილეში? რომელ კონკურსში ვერ გაიმარჯვა ისეთი მაღალი რანგის პროფესიონალმა, როგორიც ბრძანდებოდა პროფ. გივი გამრეკელი? აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საქმე გვაქვს ასაკობრივი დევნის გამოძახილთან, რომელიც 2006 წლის რეფორმის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. დაშვებული იქნა მიუტევებელი შეცდომა. სპეციალისტი, რომელსაც ევროპის ნებისმიერი სამეცნიერო ცენტრი, უნივერსიტეტი, პირდაპირ ხელისგულზე ატარებდა, უპარდონოდ დაითხოვეს სამსახურიდან. საყვარელ საქმეს ჩამოაშორეს. ამ დარგს აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენეს. ამას მოყვა თაობათა შორის წყვეტა, მწვავე საკადრო პრობლემები ამის ლოგიკური შედეგია. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება დღეს ამ დარგში არსებული მწვავე კრიზისი. კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი. დარგმა დაკარგა ორი შესანიშნავი სპეციალისტი პროფ. გივი გამრეკელი და პროფ. გრანი ქავთარია, რომლებსაც, სავსებით ხელეწიფებოდათ ამ რთულ პერიოდში დარგის ლიდერის როლი. ფაქტობრივად, ეს ამ დარგის განადგურების ტოლფასი იყო. ყველაფრის ნულიდან დაწყება მოუხდათ. ჭირდებოდა ვინმეს ეს? რა თქმა უნდა, არავის. ასეთია პოსტსაბჭოთა რეალობა, რომელიც საბჭოთა სინამდვილის ექოდ გაისმა. ეს ადვილი გასაგებია. ჩვენი მენტალიტეტი ამ ხნის მანძილზე დიდად არ შეცვლილა. აი ასეთი სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს მოუზომლად გადადგმულ ნაბიჯს. მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო, როგორც ლექტორს, ისე მკვლევარ-ისტორიკოსს, მაგრამ ის საყვარელ საქმეს ჩამოაშორეს, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს. ცხადია, ეს იყო დიდი მორალური ტრავმა, შეურაცხყოფა. რუსი მწერალი მიხეილ ბულგაკოვი ამბობდა „შეურაცყხოფა არის საუკეთესო ჯილდო, კარგად შესრულებული სამსახურისათვის“.

პროფ. გივი გამრეკელი გარდაიცვალა 2018 წლის 15 თებერვალს. დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე. ის იყო უაღრესად წესიერი, უანგარო, პატიოსანი ადამიანი, რომელსაც არ შეხებია არც ერთი უკეთურობა, რომელიც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური

რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ იკიდებს ფეხს უნივერსიტეტში და რომელიც უნივერსიტეტისათვის შინაგანად სრულიად უცხო და მიუღებელი იყო.

პროფ. გივი გამრეკელმა ნათელი კვალი დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში და სპორტულ ჟურნალისტიკაში.

***

პროფ. გივი გამრეკელი, იყო უაღრესად ერუდირებული ისტორიკოსი. ფართო დიაპაზონის მკვლევარი. მისი მეცნიერული ინტერესების არეალი მეტად ვრცელია. ის მოიცავს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების და ანტიკური ისტორიის აქტუალურ საკითხებს. მისი ლექციები, სამეცნიერო-პოპულარული შრომები და გამოკვლევები ემყარება ემპირიული, ფაქტოლოგიური, მასალის ღრმა ცოდნას, მაგრამ ის არ იყო ვიწრო ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, ისტორიკოსი. აღსანიშნავია მისი დაინტერესება ისტორიის თეორიული საკითხებით, კერძოდ, ანტიკური ისტორიის წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიით. ეს მის ლექციებს უფრო მეტ პეწს და ლაზათს სძენდა, ხოლო სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევებს და გამოკვლევებს სოლიდურ იერს ანიჭებდა და მსმენელის ან მკითხველისათვის საინტერესო ხდებოდა. ის როგორც ისტორიკოსი არასდროს არ ყოფილა იოლი გზით სიარულის მოტრფიალე და სიძნელეებს არასოდეს გაურბოდა. XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის, ედუარდ ფრიმენის თქმით „ ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმას ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“. (2.52) პროფ. გივი გამრეკელი ერთ-ერთი მათგანი იყო. შარლ დე გოლი ამბობდა „იარე ძნელი გზით იქ კონკურენტები არ გეყოლება“.

მან ძალიან კარგად იცოდა ძველი აღმოსავლეთის ხალხების და ანტიკური სამყაროს, სახელდობრ ძველი საბერძნეთის და რომის ისტორია. მის ვიწრო სპეციალობად ანტიკური ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია მოიაზრებოდა. მისი ორივე სადისერტაციო ნაშრომი, როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაცია წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს

ატარებს. ამ დარგის კუთვნილებაა მისი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომები: ლუკიანეზე, ჰეროდოტეზე, თუკიდიდეზე, ქსენოფონტეზე, ტაციტუსზე, პოლიბიოსზე, პლუტარქეზე, სვეტონიუსზე, კურციუს რუფუსზე. ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია მისი პოპულარული ნარკვევი დიდ გერმანელ ისტორიკოსზე, თეოდორ მომზენზე. (1817-1903).

დავიწყოთ მისი საკანდიდატო დისერტაციით „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. ის საბჭოთა პერიოდში მისი მთავარი ნაშრომია.

1970 წლის 11 დეკემბერს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“. მისი მეცნიერხელმძღვანელი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მათე ალექსიშვილი. ოფიციალური ოპონენტები: აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი და დოც. ნატო კვეზერელი-კოპაძე. (3)

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ დისერტაციის დაცვის მასალებს, რომელიც ამ თემის განხილვის დროს ჩვენი მთავარი წყარო იქნებოდა და დაგვეხმარებოდა ამ პრობლემის სიღრმისეულად გაშუქების საქმეში, ვერც უნივერსიტეტის და ვერც ეროვნულ არქივში ვერ გადავაწყდით და არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ ის დაკარგული იყოს. ჩვენს უშუალო წინამორბედებად სწორედ, სადისერტაციო ნაშრომის ოპონენტები გვევლინებიან, რომლებმაც პირველებმა სცადეს შეეფასებინათ მისი ნაშრომის ავკარგიანობა. ამიტომ ეს მასალა ჩვენთვის საინტერესო წყარო იყო.

ისტორიოგრაფიული ნაშრომის დაწერა ადვილი საქმე არ გახლავთ და თუ ამ სფეროში რაიმე ილუზია არსებობდა, ეს, უწინარესად, საბჭოთა რეალობის გამოძახილი იყო. ისტორიოგრაფიული გამოკვლევები ხშირად იწერებოდა შაბლონური სქემის მიხედვით. ის რაც ახლოა მარქსიზმთან, ცხადია, ძალიან კარგია და მისაღებია, ხოლო ის რაც შორსაა მარქსიზმისაგან, ბუნებრივია, მიუღებელია და არ ვარგა. საბჭოთა პერიოდში ისტორიოგრაფიული ნაშრომი ხშირად ძალიან პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული

იყო. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისთან შეიძლება გვქონდეს საქმე.

ისტორიოგრაფიული ნაშრომი არ უნდა ატარებდეს თხრობით, აღწერით, ხასიათს. მხოლოდ ისტორიკოსის შეხედულებების გადმოცემა საკმარისი არ უნდა იყოს და ისტორიულ მეცნიერებაში ისტორიკოსის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. მას უნდა ჰქონდეს ანალიტიკური მუხტი, როდესაც ხაზგასმული იქნება ისტორიკოსის შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები და ახსნილი იქნება მისი გამომწვევი მიზეზები. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. აი ასეთია რეალობა.

ისტორიოგრაფიული ნაშრომი არ უნდა ატარებდეს აპოლოგეტურ ხასიათს. ის არ შეიძლება იყოს ისტორიკოსის ქება-დიდება. ეს მიუღებელია. ასეთი ისტორიოგრაფიული ნაშრომი სუსტი იქნება და ისტორიულ მეცნიერებაში ისტორიკოსის მიერ შეტანილ წვლილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. ეს ერთი უკიდურესობაა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ისტორიკოსის შემოქმედების არც აუგად მოხსენიება, მიწასთან გასწორება, არ ივარგებს. ეს ძალიან ამუქებს სურათს. ისტორიკოსის მიერ ისტორიულ მეცნიერებაში შეტანილ წვლილზე გამრუდებულ წარმოდგენას შეგვიქმნის. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. უნდა ვეცადოთ გამოვძებნოთ საშუალედო გზა, გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ მათი გამომწვევი მიზეზების ახსნას. ამ კრიტერიუმით ცდილობს შეაფასოს პროფ. გივი გამრეკელის ისტორიულ მეცნიერებაში სალუსტიუსის წვლილი.

ის ცდილობს თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა და სალუსტიუსის, როგორც ისტორიკოსის შეფასების დროს გამოძებნოს ოქროს შუაგული. ხაზი გაუსვას მისი შეხედულებების ძლიერ და სუსტ მხარეებს და შეეცადოს შეძლებისდაგვარად ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები. ის იზიარებს სამეცნიერო-ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და სალუსტიუსს როგორც ისტორიკოსს

დადებით შეფასებას აძლევს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ქართველი ისტორიკოსის ნაშრომის აპოლეგეტური შეფასება ან შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ადვილი გზით სიარული იქნებოდა. ის როგორც ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარი ცდილობს გამოიმუშაოს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები. აქ კარგად ჩანს მისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს.

ისტორიოგრაფიული ნაშრომის მნიშვნელობას განაპირობებს ისტორიკოსის შეხედულებების სწორედ გადმოცემა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ისტორიოგრაფიული გამოკვლევა სწორედ წარიმართება, თუ არა. მისი ნაშრომის კიდევ ერთი პლუსი, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ის სწორედ გადმოსცემს სალუსტიუსის შეხედულებებს. ამის შემდეგ ის ცდილობს გაერკვეს მის ავკარგიანობაში. მისი მსჯელობა აგებულია პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის, როგორც ქართულ, ისე რუსულ და გერმანულ ენებზე, საფუძვლიან ცოდნაზე, იკვეთება მისი ნაშრომის კიდევ ერთი დადებითი მხარე.

ახლა კონკრეტულად გადავიდეთ მის ნაშრომზე „სალუსტიუსი როგორიც ისტორიკოსი“. ეს გახლავთ მისი საკანდიდატო დისერტაცია. პირველ რიგში დავიწყოთ მეთოდოლოგიით, რომელსაც მაშინ, ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, როგორი იყო მისი დამოკიდებულება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისადმი? საკითხი არის პრინციპული და მასზე ბევრადაა დამოკიდებული ნაშრომის ავკარგიანობა. ასეთი გახლავთ საბჭოთა რეალობა. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოსდა ნაშრომი საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ სინამდვილე, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ზედაპირზე ძევს. ამიტომ ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საინტერესოდ და აქტუალურად მიგვაჩნია. ნაშრომი, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის საბჭოთა, მეთოდოლოგიის პრინციპებს.

ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა მისი დამოკიდებულება მარქსიზმისადმი ლოიალურად მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოსდა ამ ნაშრომში მარქსიზმის გავლენა არ იგრძნობა. ეს ასე არაა. ცხადია, ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებულ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამას აკეთებს ზომიერად და მარქსიზმთან, კომპრომისები მინიმალურია, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. მარქსიზმთან მინიმალური კომპრომისის გამო, მისი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. (4)

ფაქტობრივად, საქმე ეხება საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსის შემოქმედების შეფასებას. საკითხი არის, რთული და მრავალწახნაგოვანი. ამ კუთხით მისი გაშუქება საინტერესო იქნებოდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების აპოლოგეტური შეფასება, რაც დომინირებდა საბჭოთა წლებში დღეს, ბუნებრივია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა ამოვყოთ თავი. ორივე უკიდურესობა მიუღებელია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შექმნილი რთული ვითარების გამუქება, ცხადია არ ღირს. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“ ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს, მაგრამ ამ საშუალედო გზის გამოძებნა, სულაც არ იქნება ადვილი საქმე, რადგან მსაჯულები სუბიექტურები არიან. ზოგს სიმპათია დაძლევს, ზოგს კი პირიქით, ანტიპათია.

დავიწყოთ იმით, რომ ის არ შეეჭიდა რომელიმე კონიუნქტურულ პრობლემას, რომელსაც მარტივად გადაწყვეტდა და მოიპოვებდა ძიებულ ხარისხს. ეს არცაა გასაკვირი გასაგებია. ადვილი გზით სიარული მის ხასიათში არ შედიოდა. მან ხელი მოკიდა სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და ის მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. საქმე გვაქვს საკითხისადმი წმინდა პრაგმატულ, პრაქტიკულ, მიდგომასთან. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. ეს ადვილი გასაგებია და იმ ექსტრემალური ვითარებიდან

ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ფაქტობრივად, არჩევანი იყო უარესსა და ცუდს შორის. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ფსონი ამ უკანასკნელზე დადო. ფართო არჩევანი არ არსებობდა. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, დონეზე საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესი ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა იყოს და ამის უგულებელყოფა, ცხადია, არ ივარგებს. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა ძალაში რჩება, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ეს არ იყო შემთხვევითი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. ეს იმაში გამოიხატა, რომ მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება ამის გამოძახილი იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, იდევნებოდა, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა. გივი გამრეკელის შრომა „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“, ვფიქრობთ, ძალიან კარგად ჯდება ამ სქემაში. ის ირჩევს სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და ცდილობს მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშაოს.

რომაელი ისტორიკოსი სალუსტიუსი (ქრ. შობამდე 86-35) უმცროსი ანალების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. სალუსტიუსის მთავარი ნაშრომია „ისტორია“ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ შემორჩენილია მხოლოდ მისი ფრაგმენტები. ის ხუთი წიგნისაგან შედგება და ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს ქრ-შობამდე I საუკუნის 78-66 წლები საინტერესოა სალუსტიუსის წერილები გაიუს იულიუს კეისრისადმი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა წერილმა.

ეს წერილები საგულისხმოა და წარმოდგენას გვიქმნის მის პოლიტიკურ მრწამსზე. სალუსტიუსის-კალამს ეკუთვნის კიდევ ორი ნაშრომი, რომელიც რომის ისტორიის საკვანძო საკითხებს შეეხება. „იუგურთას ომი“ და „კატილინას შეთქმულება“. (5)

მას ორმაგი დატვირთვა ენიჭება: წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული. სალუსტიუსის თხზულებები წარმოადგენს იმ პერიოდის რომის ისტორიის საინტერესო წყაროს, რომელსაც იმ ეპოქის ვერც ერთი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გვეხმარება შევავსოთ სხვა წყაროთა მონაცემები. ეს სალუსტიუსის თხზულების წყაროთმცოდნეობითი მხარე. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ მის თხზულებებს გააჩნია ისტორიოგრაფიული დატვირთვა, სადაც ის ცდილობს შეაფასოს იმ ეპოქის რომის ისტორიის აქტუალური პრობლემები და გამოჩენილი ადამიანები. ამიტომ საკითხის ამ ჭრილში დაყენება „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“ სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს. სალუსტიუსის შრომები მეტად ღირებულია და მისი განხილვა სავსებით გამართლებული უნდა ჩანდეს.

მოკლედ გადავავლოთ თვალი ნაშრომის შინაარსს. იგი ასე გამოიყურება. ის შედგება ოთხი თავისაგან, ესენია: პირველი თავი. სალუსტიუსის ბიოგრაფია. (3.1-4) მეორე თავი. ისტორიკოსები სალუსტიუსზე (3.4-10) მესამე თავი. პოლიტიკური მდგომარეობა რომში ძველი წელთაღრიცხვამდე II საუკუნის ბოლომდე და I საუკუნის დასაწყისში. (3.10-14) მეოთხე თავი. სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი. (3.14-22).

ნაშრომის არქიტექტონიკის, სტრუქტურის, შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე გარემოებას, რომელიც თვალში მოგვხვდება, პირდაპირ ზედაპირზე ძევს და უმალ იპყრობს ყურადღებას: ა. ნაშრომს არ გააჩნია შესავალი, სადაც მკაფიოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული ის მიზნები და ამოცანები, რომელსაც ისახავდა პატივცემული ავტორი სალუსტიუსის როგორც ისტორიკოსის შესწავლის დროს. ამის გაკეთება, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა. ბ. ნაშრომს არ აქვს დასკვნა, სადაც ავტორი შეეცდებოდა შეეჯამებინა ჩატარებული კვლევითი საქმიანობის შედეგები. ეს ამ საინტერესო გამოკვლევის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. გ. ჩვენი აზრით, საერთო სიუჟეტიდან ამოვარდნილი უნდა

ჩანდეს მესამე თავი „პოლიტიკური მდგომარეობა რომში ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის ბოლოს და პირველი საუკუნის დასაწყისში“. ის, უმთავრესად, მიმოხილვითი ხასიათისაა. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ეს როგორც კარგი ისტორიული ფონი გაკეთებულიყო პირველ თავში, სადაც საუბარია სალუსტიუსის ბიოგრაფიაზე.

ნაშრომის დასაწყისში, ბუნებრივია, ავტორი, პირველწყაროებზე და მრავალფეროვან საკვლევო ლიტერატურაზე დაყრდნობით, საუბრობს სალუსტიუსის ბიოგრაფიაზე და ამ საკითხში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ის მიმოხილვით ხასიათს ატარებს და წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი, სწორედ, ეს იყო. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. მის წინაშე გაცილებით მოკრძალებული ამოცანა იდგა, რომელსაც მან კარგად გაართვა თავი. (3.1-4) მთავარი, სწორედ, ეს იყო.

პროფ. გივი გამრეკელის ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა ისტორიოგრაფიული ნაწილი, სადაც იგი განიხილავს საკითხის ისტორიოგრაფიას. მას პირობით შეიძლება უწოდოთ ისტორიკოსები სალუსტიუსზე როგორც ისტორიკოსზე. როგორ აფასებენ ისტორიკოსები სალუსტიუსს როგორც ისტორიკოსს.

ხაზგასმულია, რომ სალუსტიუსის როგორც ისტორიკოსის შეფასებისას ისტორიკოსთა შორის ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა და გამოთქმულია დიამეტრულად საპირისპირო აზრები. ამ აზრთა სხვადასხვაობას უკვე ანტიკურმა ავტორებმა ჩაუყარეს საფუძველი და შემდგომში ასახვა პოვა ისტორიოგრაფიაში. ერთნი გუნდრუკს უკმევენ და ქებით მოიხსენიებენ სალუსტიუსს როგორც ისტორიკოსს. მათი მთავარი ტონის მიმცემები იყვნენ სვეტონიუსი და სენეკა (მამა). მეორენი პირიქით. მასზე, როგორც ისტორიკოსზე მაინც და მაინც მაღალი აზრის არ უნდა იყვნენ და მის სახელს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ. ამ პოზიციაზე იდგა ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი (3.4-5).

ზოგიერთი საკითხის განხილვამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია: რევოლუციამდე რუსული ისტორიოგრაფიის გაშუქება. ჩვენი აზრით, ეს საკითხი განხილულია, მკრთალად, სუსტად. აღსანიშნავია, რომ მას სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი. ეს კი, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და ამ თემის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია. ჩვენი შეხედულებით, საქმეში გვაქვს ფაქტის კონსტატაციასთან. ის ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ცნობილი რუსი ისტორიკოსის რობერტ ვიპერის (1854-1950) მიკუთვნება საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის? (3.20) ის არასოდეს არ ყოფილა მარქსისტი.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ისტორიოგრაფიის განხილვას. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და, უპირველესად კონიუნქტურული მოსაზრებებით იყო განპირობებული. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ შემთხვევაში ის გულწრფელი არ იყო. დარწმუნებულები ვართ, რომ დღეს ის ასე არ მოიქცეოდა. ამ შემთხვევაში ის ხარკს უხდის, ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგის მონოპოლიას. ამის გამო მისი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა.

სასურველი იყო ორიოდე სიტყვა თქმულიყო ამ საკითხის გაშუქებაზე თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ეს საინტერესო იყო, შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის ნაშრომს და მომგებიან ქულებს შესძენდა. ეს საკითხი განხილულია გაცილებით უფრო სუსტად, მკრთალად, რაც, ფაქტობრივად, მისი იგნორირების ტოლფასია.

და ბოლოს დავძენთ, რომ ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა ორიოდე სიტყვის თქმა იმაზე, თუ როგორ იყო დამუშავებული ეს თემა ქართულ ისტორიოგრაფიაში. რა იყო დაწერილი სალუსტიუსზე როგორც ისტორიკოსზე ქართულ ენაზე. ამ

კუთხით საკითხის განხილვა საინტერესო და აქტუალური იყო. ისეთი მაღალი რანგის ისტორიკოსს, როგორიც პროფ. გივი გამრეკელი ბრძანდებოდა, სავსებით ხელეწიფებოდა ამის გაკეთება.

ნაშრომის ყველაზე უფრო წონად და საინტერესო მონაკვეთს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ის ნაწილი, რომელიც კონკრეტულად სალუსტიუსს როგორც ისტორიკოსს შეეხება. ის საკმაო ჩახედულობას ამჟღავნებს სალუსტიუსის შემოქმედებაში. ამ თემაზე მისი მსჯელობა ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის, პირველწყაროების და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის, როგორც ქართულ, ისე რუსულ და გერმანულ ენაზე, ცოდნას ემყარება. ის სწორედ გადმოგვცემს სალუსტიუსის შეხედულებებს და ცდილობს მის განხილვას.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სალუსტიუსი არ არის ვიწრო ემპირიკოსი, ისტორიკოსი. მისი შრომები არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, უბრალო გადმოცემას. ის არაა ფაქტების უბრალო გროვა. მაშინ ის საინტერესო არ იქნებოდა. მან ხელი მოკიდა მის კომენტირებას. (3.1) ავტორი ხაზს უსვამს აქ თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაციის ღირებულებას, მის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას, რომელიც ავსებს სხვა წყაროების ცნობებს და ისტორიკოსს ეხმარება წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში. რა თქმა უნდა, ეს პატარა საქმე არაა. ამავე დროს სალუსტიუსის მსჯელობას შეფასებითი დატვირთვა გააჩნია, რაც მას ისტორიოგრაფიულ მუხტს ძენს. ეს საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო სალუსტიუსის დამოკიდებულება რომის ისტორიის აქტუალური საკითხების და გამოჩენილი ადამიანებისადმი. ეს კიდევ ერთი საინტერესო რაკურსია.

ავტორი იზიარებს ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ამ თვალსაზრისით, სალუსტიუსი თუკიდიდეს მოსწავლედ შეიძლება მოვიაზროთ. (3.1.) ეს მედლის ერთი მხარეა. მედალს გააჩნია მეორე მხარე. სალუსტიუსმა გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის რომაულ ისტორიოგრაფიაზე? ნათქვამი, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, შეეხება ცნობილ რომაელ ისტორიკოსს პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსს. (55-120) (3.1,5)

სალისტიუსის მსოფლმხედველობის საკითხის წინ წამოწევა საინტერესოა. ამ კუთხით ეს პრობლემა, როგორც ქართველი ისტორიკოსი დასძენს, შედარებით სუსტად, მკრთალადაა, გაშუქებული. ამას ის იმით ხსნის, რომ „უმთავრესად ყურადღება ექცეოდა სალუსტიუსის პოლიტიკურ შეხედულებებს, ხოლო მისი მსოფლმხედველობის საკითხი უფრო პერიფერიულ თემად გვევლინებოდა. ავტორი მეტად ფრთხილად უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ სალუსტიუსს სტოიციზმის მომხრედ მოიაზრებს“. (3.26)

სალუსტიუსი თავის შრომებში შეეხება და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის, ცდილობს შეაფასოს, რომის ისტორიის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც იყო იუგურთას ომი (ქრ.-შმდე 113-105), კატილინას შეთქმულება (ქრ.-შმდე 63-62), კატილინა (ქრ.-შმდე 108-62), ციცერონი (ქრ.-შმდე 106-43), გაიუს იულიუს კეისარი (ქრ.-შმდე 100-44).

საინტერესოა როგორ უყურებდა სალუსტიუსი ისტორიას და რა დანიშნულებას ანიჭებდა მას. ის როგორც რომაელი ისტორიკოსები, პირველ ყოვლისა, წერდა „წმინდა პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე. მათთვის მთავარი კი არ იყო ჭეშმარიტების დადგენა, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა“. (3.12)

ავტორი ხაზს უსვამს, რომ „სალუსტიუსი, ისე როგორც ადრეული პერიოდის ყველა რომაელი ისტორიკოსი, წერდა პრაქტიკული მიზნებისათვის. ის არ ისახავდა მიზნად ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას. თავისი ისტორიული შრომებით ის მონაწილეობდა პოლიტიკურ ბრძოლებში“ (3.12) ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს სალუსტიუსის თხზულება კატილინას შეთქმულებაზე. „ასეთი ტენდენციური ნაწარმოებია სალუსტიუსის ნაშრომი კატილინას შეთქმულებაზე. სადაც მან მიზნად დაისახა ანგარიში გაესწორებინა ნობილიტეტისათვის“. (3.18). კატილინას შეთქმულებისადმი სალუსტიუსის ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი მიზეზები, უწინარესად, სალუსტიუსის მსოფლმხედველობაში ძევს. ამგვარი მიდგომა

ნობილიტეტისადმი სალუსტიუსის უარყოფითი დამოკიდებულების გამოძახილია. მთელს მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ნობილიტეტის კრიტიკა (3.19) ასეთია სალუსტიუსის დამოკიდებულება კატილინას შეთქმულებისადმი (5. 6. 153-178, 178-191, 191-198. 7. 175-181, 8. 417-434).

როგორც ავტორი აღნიშნავს ზუსტად ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე სალუსტიუსის მეორე ნაშრომში იუგურთას ომზე. ის სალუსტიუსის ამ თხზულებას უფრო დადებითად აფასებს. მიუხედავად, ამისა დასძენს ავტორი, უნდა ვაღიაროთ, რომ „იუგურთას ომის ისტორია“. იმავე მეთოდებითაა შექმნილი, რაც კატილინას შეთქმულება, თუმც მისი ტენდენციურობა გახდა უფრო ზომიერი“. (3.20)

სასურველი იქნებოდა რეფერატში აღნიშნული ყოფილიყო, რომ პროფ. გიორგი გოზალიშვილმა ქართულ ენაზე გამოსცა ცეზარის თანამედროვე რომაელი ისტორიკოსის სალუსტიუსის ორი წერილი ცეზარისადმი. ამ ფაქტისადმი ამგვარი გულგრილი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და ქართული კონტექსტისადმი ინდიფერენტული განწყობის ექოდ გაისმა. სალუსტიუსის ამ წერილების ავთენტურობა დიდი ხნის განმავლობაში ეჭვს იწვევდა. ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულების ერთ-ერთ მთავარ ტონის მიმცემად დიდი გერმანელი ისტორიკოსი, რომის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი თეოდორ მომზენი გვევლინება. არსებითად შეიცვალა საქმის ვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

უმთავრესად გერმანელი ისტორიკოსების, პირველ რიგში კი, რობერტ პოულმენის და ედუარდ მაიერის ძალისხმევით, ბოლოს და ბოლოს სიმართლეს ფარდა აეხადა. ამ თემაზე დავა შეწყდა. თანამედროვე მეცნიერებას ეჭვი არ ეპარება, რომ ეს ორივე წერილი ნამდვილად სალუსტიუსმა დაწერა. (5. 181-182)

ისტორიას ადამიანები ქმნიან. განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანები. ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის თქმით „ეს შემოქმედებითი უმცირესობა“. გაიუს იულიუს კეისარი მათ შორის, უთუოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო. ამიტომ ალბათ,

ინტერეს მოკლებული არ იქნებოდა შევეხოთ თუ როგორია სალუსტიუსის დამოკიდებულება ცეზარისადმი. მით უმეტეს, რომ ისინი თანამედროვეები იყვნენ და ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. კეისრისადმი სალუსტიუსის დამოკიდებულებისადმი სწორხაზოვანი, დადებითი ან უარყოფითი მიდგომა, სწორი არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის შეფასებისას ისტორიკოსთა შორის ერთსულოვნება არ სუფევს. პოლემისტური მუხტი ამ თემაზე მის მსჯელობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი, რომელიც ცეზარის დიდი თაყვანისმცემელი იყო, სალუსტიუსს აღიქვამს, როგორც ცეზარის მომხრეს. ჩვენი ავტორი სავსებით იზიარებს მომზენის ამ მოსაზრებას, თუმცა ზოგიერთი დეტალის დაზუსტებას ცდილობს. როგორც ის აღნიშნავს მომზენის თვალსაზრისი მხოლოდ სალუსტიუსის მოღვაწეობის პირველი ეტაპისთვის ჩანს მისაღები. შემდგომში სალუსტიუსის დამოკიდებულებამ ცეზარის პიროვნებისადმი მკვეთრი ფერისცვალება განიცადა. რით იყო გამოწვეული ასეთი მეტამორფოზი? ავტორი ხაზს უსვამს, რომ მისი მიზეზები, უწინარესად, სალუსტიუსის მსოფლმხედველობაში ძევს. „სალუსტიუსი აკრიტიკებს ნობილიტეტს და სენატს, მაგრამ ის არც დემოკრატიის მომხრეა. ის ძალიან სკეპტიკურადაა განწყობილი პლებსის მიმართ. მისი იდეალია ქალაქი სახელმწიფოები. ცეზართან უთანხმოება ამის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. ის მოუწოდებდა ცეზარს სწორედ გაენაწილებინა ფუნქციები სენატს და ხალხს შორის. სალუსტიუსი შესტრფის რომის ადრეულ რესპუბლიკას, რომელმაც განაპირობა რომის აყვავება. იმ პერიოდისთვის, ეს, ცხადია, ილუზია იყო, რადგან რომის რესპუბლიკის დღეები დათვლილია“. (3.13-21) ამრიგად, როგორც ირკვევა, სალუსტიუსსა და ცეზარს შორის უთანხმოება პოლიტიკური მოტივები გახლდათ განპირობებული. რაც აისახა ცეზარის შეფასებაზე.

„სალუსტიუსის სახით, რომაულმა ისტორიოგრაფიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მისი შრომები არ წარმოადგენს მშრალ ქრონიკას.

მის ისტორიულ თხზულებებში მოცემულია რომის პოლიტიკური ცხოვრების ნათელი სურათი. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის დგას ამ ბრძოლაზე მაღლა და ის არის ზეპარტიული ისტორიკოსი. დიდი ოსტატობა და ისტორიული ფაქტების თავისებური ინტერპრეტაცია საშუალებას აძლევს სალუსტიუსს შექმნას წარმოდგენა თითქოს ის არის ობიექტური ისტორიკოსი, მაგრამ ეს შთაბეჭდილება მაცდუნებელია. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს ტენდენციურ ნაშრომებთან". (3.22) აი ასე შეაჯამა ქართველმა ისტორიკოსმა სალუსტიუსის შემოქმედება. ეს იყო სწორი მიდგომა. ინგლისელი ისტორიკოსის რიჩარდ კობის თქმით „ისტორიკოსი არ არის ცივსისხლიანი კლინიკოსი". (9.254)

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მას თავისი ნაშრომი „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი" ცალკე წიგნად გამოექვეყნებინა, მაგრამ ის რატომღაც ასე არ მოიქცა, რატომ შეიკავა მან თავი ამის გაკეთებისგან ძნელი სათქმელია. ჩვენი აზრით, ასეთი გადაწყვეტილება გამართლებული არ უნდა ჩანდეს. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ მან ქართულ ანტიკოლოგიაში იმაზე გაცილებით უფრო სუსტი კვალი დატოვა, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო.

ამრიგად, პროფ. გივი გამრეკელმა დაწერა საინტერესო ნაშრომი „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი", რომელიც ემპირიის, ფაქტოლოგიის, სფეროს კი არ განეკუთვნება, არამედ თეორიულ ხასიათს ატარებს და ძველი მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის ორგანულ შემადგენელ ნაწილად გვევლინება. პროფ. გივი გამრეკელის სახით საქმე გვაქვს საქართველოში ამ დარგის ერთ-ერთ კომპეტენტურ სპეციალისტთან, რომელმაც თავისი კვალი დატოვა საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის სწავლების, შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. მის ნაშრომს სალუსტიუსზე ამ თემატიკით დაინტერესებული ვერც ერთი ქართველი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. ნაშრომი სავსებით აკმაყოფილებს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და იმ პერიოდის ქართული ანტიკოლოგიის მნიშვნელოვან შენაძენად

გვევლინება. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ მისმა ნაშრომმა სპეციალისტების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ოფიციალური ოპონენტების აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის და დოც. ნატა კვეზერელი-კოპაძის დადებითი შეფასება დაიმსახურა. ეს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა დამწყები ისტორიკოსის წარმატება იყო. მისი ნაშრომის დადებით მხარედ მიგვაჩნია. 1. ის საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს სალუსტიუსის შემოქმედებაში, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და, პირველ ყოვლისა, ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ის ემყარება სალუსტიუსზე არსებულ მდიდარ ლიტერატურას, როგორც ქართულ, ისე რუსულ და გერმანულ ენაზე, რამაც საშუალება მისცა მას შეეგროვებინა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი, მეცნიერული ინფორმაცია და შეეცადა მის გააზრებას. ის სწორედ გადმოგვცემს სალუსტიუსის შეხედულებებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ნააზრევის მეცნიერული შეფასების თვალსაზრისით, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ეს მსჯელობა დომინოს პრინციპით ჩამოიშლება. ის კარგად იცნობს იმ ეპოქებს, რომელზეც სალუსტიუსი წერდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი ნაშრომის პლუსია. დიდი ერუდიცია და მეცნიერული ანალიზის უნარი ერთმანეთთანაა შეხამებული და ურთიერთს ავსებს.

2. ნაშრომი არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას. ეს არ გახლავთ ფაქტების უბრალო გროვა. ასეთი ნაშრომი საინტერესო ვერ იქნებოდა. ის ცდილობს ხაზი გაუსვას სალუსტიუსის შეხედულებების ძლიერ და სუსტ მხარეებს და შეეცადოს შეძლებისდაგვარად ახსნას მათი გამომწვევი მიზეზები. მას სურთ თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა. სალუსტიუსის როგორც ისტორიკოსის აპოლოგეტური შეფასება ან შეუფასებლობა, ორივე უკიდურესობა მიუღებელია. მისი ნაშრომი საშუალედო გზის მოძიების მცდელობას წარმოადგენს. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამიტომ მისი ნაშრომის ხოტბა-დიდება ანდაც გულგრილი, სკეპტიკური, დამოკიდებულება მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

3. მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო მისი მკაცრად განსჯა გამართლებული არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მარქსიზმისადმი მისი დამოკიდებულება ლოიალურად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით, მარქსიზმთან მინიმალურ კომპრომისი შეიძლება, სწორედ, ამით იყო გამოწვეული, რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება. ეს მეცნიერული თავისუფლება საშუალებას აძლევს ისტორიულ ფაქტებზე ოპერირების დროს, არ შეიზღუდოს, რაღაც ჩარჩოებში არ მოექცეს რაც ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს.

4. ჩვენი აზრით, ნაშრომში სიახლეები, ძირითადად ორი ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ა. ის ცდილობს დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. ეს იმით გამოიხატება, რომ ის არ აზიარებს ისტორიკოსთა ერთი ნაწილის თვალსაზრისს და ეთანხმება ისტორიკოსთა მეორე ნაწილს, რომლის შეხედულება უფრო მისაღებად ესახება . აქ გარკვეულ სიახლესთან უნდა გვქონდეს საქმე. ბ. მას გააჩნია ზოგიერთ საკუთარი მოსაზრება, დაკვირვება, ვარაუდი. მაგალითად ასეთად მიგვაჩნია სალუსტიუსის მსოფლმხედველობის წამოწევა, რომელიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, შედარებით ჩრდილში აღმოჩნდა მოქცეული და ნაკლებად იყო დამუშავებული.

5. ეს ნაშრომი, ფაქტობრივად, წარმოადგენს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ათვისების გზაზე გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯს, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ. მას, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. აქ კარგადაა გამჟღავნებული მისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი. ეს იყო, მთავარი. ამ ნაშრომს, სწორედ, ამ კუთხით უნდა შევხედოთ.

***

პოსტსაბჭოთა პერიოდში პროფ. გივი გამრეკელმა დაწერა სოლიდური ნაშრომი „ამიანე მარცელინე, როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე“. ეს მის საუკეთესო ნაშრომად მიგვაჩნია. ეს

იყო მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან 2004 წლის 2 აპრილს წარმატებით დაიცვა. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: პროფ. ნანა ხაზარაძე, პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, პროფ. ლევან გორდეზიანი.

სპეციალისტების დადებით შეფასება ამ ნაშრომის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ საინტერესო მასალის კვალი ძალიან ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად ვერ გადავაწყდით და ადვილი შესაძლებელია დაკარგულიც კი იყოს. ეს მასალა ძალიან დაგვეხმარებოდა ამ საკითხის სიღრმისეულ გაშუქებაში. ამ ნაშრომის შეფასება პირველი, სწორედ, ოპონენტებმა სცადეს და ჩვენს უშუალო წინამორბედებად ისინი გვევლინებიან. დაცვის მასალები კიდევ უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნიდა მისი ნაშრომის „ამიანე მარცელინე, როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე“ ავკარგიანობაზე. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

აქ უნდა შევეხოთ ერთ გარემოებას, რომელიც, როგორც ეტყობა, პატივცემულ საბჭოთა წევრებს, წვრილმანად მიუჩნევიათ და სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. რა თქმა უნდა, ნაშრომი მსოფლიო ისტორიას განეკუთვნება. ეს ზედაპირზე ძევს და ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს, მაგრამ ის არ განეკუთვნება ემპირიის, ფაქტოლოგიის, სფეროს და, უფრო თეორიულ, წყაროთმცოდნეობით და ისტორიორაფიულ ხასიათს ატარებს. ამიტომ, ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა პროფ. გივი გამრეკელის ეს ნაშრომი მივაკუთვნოთ მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობას და ისტორიორაფიას (07.00.04) და არა მსოფლიო ისტორიას (07.00.03) (ვფიქრობთ, იგივე ითქმის მის საკანდიდატო დისერტაციაზე „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“)

პროფ. გივი გამრეკელის ეს ნაშრომი „ამიანე მარცელინე, როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე“. გენეტიკურად უკავშირდება მის წინა ნაშრომს „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“, და მის ერთგვარ გაგრძელებად გვევლინება. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს რომაული ისტორიოგრაფიის „ოქროს ხანასთან“, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, დაკნინების პერიოდთან.

რა თქმა უნდა, მას სადოქტორო დისერტაციის დაცვა შეეძლო გაცილებით უფრო ადრე. ეს მას სავსებით ხელეწიფებოდა. რით იყო გამოწვეული ასეთი ხანგრძლივი პაუზა ძნელი სათქმელია. შეიძლება ამას ჰქონდა თავისი მიზეზები, რომელზეც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ, მაგრამ ნამდვილი მიზეზი, ალბათ, მის ადამიანური ხასიათის თავისებურებებში უნდა ვეძიოთ. შესაძლოა, ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას აფერხებდა სპორტულ ჟურნალისტიკაში ნაყოფიერი საქმიანობა-? ის, ეტყობა, ამ ორ დარგში მუშაობის შეხამების ოპტიმალური ვარიანტის მოძიებას ცდილობდა. შესაძლოა, ასეთ პასიურობას ხელს უწყობდა იმ ხანებში არსებული არაკონკრეტულუნარიანი გარემო?

ახლა დროა გადავიდეთ ნაშრომის განხილვაზე. დავიწყოთ შინაარსით. ის შედგება შესავლის, ცხრა თავის და დასკვნებისაგან. მისი გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა. ეს საინტერესო ნაშრომი საკითხებით გადატვირთული ხომ არაა? უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა მისი განტვირთვა და მასალის გაცილებით უფრო კომპეტენტურად დალაგება? ჩვენი აზრით, ასეთი დაწვრილმანება, დეტალიზაცია, სასურველი არ უნდა იყოს. მკითხველს გონება ეფანტება, კონცენტრაცია უჭირს ამ შემთხვევაში მეცნიერული პაექრობა უფრო გემოვნების საკითხია და პრინციპულ ხასიათს არ ატარებს.

აქ განხილული საკითხების ჩამონათვალი ასეთია. შესავალში საუბარია თემის აქტუალობაზე, კვლევის მიზანზე, ნაშრომის მეცნიერულ სიახლეზე, ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. პირველი თავი ისტორიკოსის ბიოგრაფიას შეეხება. მეორე თავი ეხება რომის ისტორიას იულიანე მარცელინემდე. მესამე თავი წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა. წინამორბედები და წყაროები. ნაშრომის მეოთხე თავი შეეხება ფრიად აქტუალურ საკითხს ამიანე მარცელიანეს პოლიტიკურ შეხედულებებს. მეხუთე თავი ამიანე და იულიანე განდგომილი, მეექვსე თავში განხილულია ამიანეს რელიგიური შეხედულებები. შემდგომ მეშვიდე თავს ქვია. ამიანე გარემოსამყაროს შესახებ. მერვე თავია ამიანე რომის და სპარსეთის ომის შესახებ და საქართველო. მეცხრე თავში განხილულია საკითხი

ამიანე მარცელინი საუკუნეთა მანძილზე. და ბოლოს, ცხადია, დასკვნა.

უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ის სწორედ გადმოგვცემს ამიანეს შეხედულებებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს. ეს საშუალებას აძლევს მას აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სწორედ წარმართოს და საინტერესო დასკვნები გააკეთოს. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ამიანეზე მისი ნაშრომის აპოლოგეტურად შეფასება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი დადებითი მხარეა.

ის ცდილობს თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა. ამიანეს შეხედულებების აპოლოგეტური შეფასება ანდაც შეუფასებლობა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამ თემაზე მისი მსჯელობა, ჩვენი აზრით, საშუალედო გზის მოძიების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, ის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. ეს სწორი არ უნდა იყოს. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს მისი სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ეს შეხედულებები თავისუფლად შეიძლება გახდეს მეცნიერული პაექრობის საგანი, რაც, სხვათა შორის, გააკეთეს კიდეც დისერტაციის ოფიციალურმა ოპონენტებმა. სამწუხაროდ, ამ მასალაზე ხელი არ მიგვიწვდება და მის კვალს, ყოველ შემთხვევაში ჯერ, ვერსად ვერ გადავაწყდით.

ამიანე მარცელიანეს თხზულებას ეწოდება „საქმენი“. ის ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს 96 წლიდან 378 წლამდე. ის სულ 31 წიგნისაგან შედგება. პირველ 13 წიგნს ჩვენამდე არ მოუღწევია. ის ნაწილი რომელიც გამოცემულია ქრონოლოგიურად მოიცავს მონაკვეთს 358-378 წლებს. ის საკმაოდ, სარწმუნო წყაროა და დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო მოვლენების აღწერას, არამედ გააზრებას, შეფასებას, რაც ამ თემაზე მის მსჯელობას ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ძენს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამიანე მარცელინეს თხზულებებში მოვიძიებთ ინფორმაციას საქართველოს ისტორიაზე. ქართველი ავტორი ცდილობს

გამოარკვიოს ორი საკითხი: რამდენად სარწმუნო წყაროა ამიანეს თხზულება და როგორ აფასებს ისტორიულ მოვლენებს და გამოჩენილ ადამიანებს.

უწინარესად, ის, ცხადია, ცდილობს ხაზი გაუსვას ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის აქტუალობა. აი რას წერდა იგი. „ერთი სიტყვით „Res Gastae" ეხება ისეთ საკითხებს, რომლის შესწავლა თანამედროვე მეცნიერებისათვის ფრიად აქტუალურია. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ ნაშრომის უნიკალურობას, მის სტილს, ცხადი ხდება ამიანე მარცელინეს ნაშრომს, მისი ერთი ნაკლის მიუხედავად (როცა 13 წიგნი დაკარგულია) შემდგომშიც არაერთი მკვლევარი ეყოლება, რადგან იგი ასეთი „მუდმივი" დიდი ღირებულებების ისტორიკოსია, როგორც სალუსტიუსი, ტიტუს ლივიუსი და ტაციტუსი" (10.4.)

ამის შემდეგ, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, რა მიზნებს ისახავდა ავტორი აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს. მოუსმინოთ მას. „კვლევის მიზანია რომის ისტორიის ადგილისა და მნიშვნელობის წარმოჩენა რომაული ლიტერატურის ისტორიაში. მათი მიმართულების ჩვენება წინამორბედ საისტორიო მწერლებთან, როგორც სალუსტიუსი და ტიტუს ლივიუსი, ტაციტუსი და სვეტონიუსი იყვნენ. მესამე და მეოთხე საუკუნის რომაული საისტორიო მეცნიერება სრულიად დაკნინდა. ღირებული თითქმის არაფერი იქმნებოდა. ასეთ პირობებში ამიანე მარცელინემ ახალი სიტყვა თქვა და ძველი რომაელი ისტორიკოსების ღირსეულ მემკვიდრედ მოგვევლინა. მისი ნაშრომი შედარებულია, როგორც უშუალო წინამორბედებთან, რომელთა მიმართაც ამიანე გაცილებით უფრო მაღალი დონის ისტორიკოსია, ისე უმცროს თანამედროვეებთან. აქაც ამიანეს უპირატესობა სრულიად აშკარაა. როცა ლაპარაკობ ამა თუ იმ სადავო საკითხზე, აქაც ამიანეს პოზიცია საკმაოდ დასაბუთებული ჩანს" (10.4) ის სავსებით სამართლიანად უსვამს ხაზს იმას, რომ ამიანე მარცელინე იმ ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული და დიდი ისტორიკოსი იყო, რომლის შემოქმედებისადმი მისი დადებითი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა.

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამიანე მარცელინეს როგორც პოლიტიკურ მოაზროვნეს და პოლიტიკოსს. ის ამ საკითხში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. მისი მთავარი ამოსავალი პოსტულატია ამიანეს შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნა. ეს ასეც უნდა იყოს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. „რომის სახელმწიფოს მდგომარეობის ანალიზთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიკოსის ოპტიმიზმს. იგი იზიარებს სენატორული არისტოკრატიის იმ ნაწილის აზრს, რომელიც კრიზისს დროებით მოვლენად მიიჩნევდა და მდგომარეობის გამოსწორების იმედი ჰქონდა. ამიანესათვის სრულად მიუღებელი იყო ის აზრი, რომ რომი - „ცოდვილი ძუმგელი“ უნდა დაიღუპოს. (10. 4-5) რამდენად საფუძვლიანი იყო ამიანეს ამგვარი ოპტიმიზმი? „რა თქმა უნდა, ესოდენ ძალისა და ერუდიციის მწერალი რომაელებს გარკვეულ იმედს აძლევდა, მაგრამ მისი მოსაზრება, როგორც ეს სულ მალე გახდა ნათელი, არაფრით არ იყო გამაგრებული. რომის იმპერიის მარცხის მიზეზები ამიანესათვის გაუგებარი დარჩა“. (10.5) ასეთი ოპტიმიზმი, ცხადია, ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა და მისი მიზეზები, უწინარესად, ამიანეს მსოფლმხედველობაში ძევს. მისი სახით საქმე გვაქვს სენატორული არისტოკრატიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთან. (10.4)

დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ ამიანე მარცელინე ტაციტუსის უბრალო მიმბაძველი იყო. უახლეს ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამიანეს სახით საქმე გვაქვს არა ტაციტუსის ჩვეულებრივ ეპიგონთან, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, არამედ ის ტაციტუსის საქმის ღირსეული გამგრძელებელი და მემკვიდრეა. ეს უფრო სწორი უნდა იყოს. „ნაშრომში შემოთავაზებულია შეხედულება ამიანეზე, რომელიც განსხვავებულია ტრადიციულისაგან, თუმცა მისი ნაშრომი ქრონოლოგიურად ტაციტუსის გაგრძელებაა, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის ამ დიდი ისტორიკოსის მიმბაძველი. იგი უფრო ტაციტუსის მემკვიდრეა. თავისი ნათლად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით, საკუთარი შეხედულებებით მთელ რიგ

უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ამასთან როგორც მოაზროვნესთან მას ბევრი საერთო აქვს მარკუს ავრელიუსთან“. (10.5) როგორც ხედავთ, ის ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ამ საკითხში ხდებოდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია.

ის ამიანეს, როგორც ისტორიკოსის შეფასებისას ტრადიციულ მიდგომას, თითქოს ამაინე ტაციტუსის უბრალო მიმბაძველი იყოს, არ ეთანხმება, განსხვავებულ შეხედულებას უჭერს მხარს და კვალში მიყვება ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს.

„ჩვენი გაგეგებით, ამიანე იმპერიას რომაელების და ბერძნების ერთობლივ სახელმწიფოდ თვლის, სადაც ბერძნები რომაელების თანასწორ უფლებიან პარტნიორებად არიან გამოყვანილი, ამ სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ხალხი კი დაბალ შეფასებას იმსახურებს, რაც შეხება ბარბაროსულ ხალხებსა და თვით სპარსელებსაც კი, რომელთაც ისტორიკოსი არავითარ შემთხვევაში არ თვლის ბარბაროსებად, მათდამი ამიანე საკმაოდ მტრულად არის განწყობილი. როცა ლაპარაკია ამიანეს ცნობებზე საქართველოს შესახებ, სადაც ბევრი რამ საყურადღებო და საინტერესო, უნდა გავითვალისწინოთ ისტორიკოსის საერთო დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომელიც მის ზოგიერთ არასწორ დასკვნას განაპირობებს“ (10.5) ეს ამონარიდი პირობით ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. პირველი სადაც აქცენტი კეთდება რომაელების და ბერძნების თანასწორ უფლებიან პარტნიორობაზე, რომის იმპერიაში და მეორე რომელიც საქართველოს ისტორიას შეეხება დავიწყოთ პირველით.

შეიძლება ამიანე მართლაც ასე ფიქრობდა, რომ „ბერძნები და რომაელები თანასწორ უფლებიან პარტნიორებად იყვნენ“, მაგრამ რეალურად ამაზე აქცენტირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათოა.

სეპტიმიუს სევერუსიდან მოყოლებულები იმპერატორები ბარბაროსები იყვნენ. არმიაც ბარბაროსული იყო (11). შესაძლოა, ამიანეს სასურველი შესაძლებლად ესახებოდა. რაც შეხება საქართველოზე ამიანეს ცნობებისადმი კრიტიკულ

დამოკიდებულებას, ის, უეჭველად, შეიცავს რაციონალურ მარცვალს, სავსებით მისაღები უნდა იყოს და რეალური ჩანს.

ნაშრომში, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საინტერესოა ისტორიოგრაფიული ნაწილი. სადაც ის ცდილობს თვალი გაადევნოს იმ ევოლუციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამიანეს როგორც ისტორიკოსის შეფასების დროს. მას მკვეთრად გამოკვეთილი ორი პერიოდი გააჩნია. თავდაპირველად დომინანტი ამიანეს წვლილის შეუფასებლობა იყო. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მას ტაციტუსის ინტელექტუალურ „ვასალად“ მოიაზრებდნენ. ამ თემასთან დაკავშირებით ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება, რომლის ექო ქართულ ისტორიოგრაფიაში გაისმა. ამას ხშირად ამიანეს სტილის სიმძიმეს უკავშირებენ, რომელიც წერდა არა ბერძნულად, არამედ ლათინურად და ფიქრობენ, რომ ამიტომ ამიანეს ნაშრომი დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა“ (5. 272-273). სასურველი იქნებოდა ამ კუთხით მსჯელობის ფართოდ გაშლა, მეცნიერული პაექრობა, რაც ამ თემის გაშუქებას პოლემისტურ მუხტს შესძენდა და, ვფიქრობთ, კიდევ უფრო საინტერესო გახდებოდა, შინაარსობრივად გაამდიდრებდა და მომგებიან ქულებს მოუტანდა. სამწუხაროდ, ავტორი სულ სხვა გზით მიდის და ამ თემას დუმილით უვლის გვერდს. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ, შესაძლოა, ავტორი არ იზიარებდა ამ მოსაზრებას. მაშინ ეს, ვფიქრობთ, უფრო გამჭვირვალედ უნდა ყოფილიყო გაკეთებული. ერთი სიტყვით, ამგვარმა მიდგომამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა.

XX საუკუნის 20-იან წლებში ამიანესადმი დამოკიდებულებაში მკვეთრი ფერისცვალება მოხდა. თავშეკავებული მიდგომა უფრო კეთილგანწყობილებამ ჩაანაცვლა, თუმცა ამიანეს როგორც ისტორიკოსის აპოლოგეტური შეფასება, ალბათ, მაინც. დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ყველაფერ ამას დიდად შეუწყო ხელი ამიანეს დამსახურების კარგად გაცნობიერებამ, მისი თხზულების, უდავო, ღირსებებმა. მის ეპიგონობაზე უკვე აღარავინ საუბრობს. (10.6-7). „გაცხოველდა მისი

ნაშრომის ყოველმხრივი გამოკვლევა, რომაელი ისტორიკოსის მოსაზრებების, იდეური პოზიციის შესწავლა, აღიარებული იქნა, რომ ამიანე არა მარტო პირველხარისხოვანი ისტორიკოსია, არამედ შესანიშნავი მწერალიც, რომელსაც სინამდვილის მხატვრული ასახვის ნიჭი აქვს“. (10.7) ეს არცაა გასაკვირი. ანტიკურ პერიოდში ისტორია სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთი ნაირსახეობად გვევლინება, კვინტილიანეს თქმით „ისტორია იწერება არა მტკიცეებისათვის, არამედ თხრობისათვის“. აქცენტი კეთდება არა შინაარსზე, არამედ ლამაზად გადმოცემაზე. როგორც ჩვენ გვგონია, სასურველი იქნებოდა ორიოდე სიტყვა გვეთქვა იმაზე თუ რა გაკეთდა საქართველოში ამიანეს შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით. რა იყო ამ მიმართულებით გაკეთებული და რის გაკეთება იყო საჭირო. თუ ამ საკითხზე ქართულ ენაზე არაფერი იყო დაწერილი, ესეც უნდა თქმულიყო. ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალე იქნებოდა. ქართული კონტექსტი ყოველთვის მომგებიანია შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ ისედაც საინტერესო ნაშრომს და მასში კიდევ უფრო მეტ კვლევის ელემენტს შეიტანდა.

ნაშრომში საუბარია ამიანე მარცელინის ბიოგრაფიაზე. ინფორმაციის სიმცირის გამო მისი ბიოგრაფიის გადმოცემა სულაც არ გახლდათ ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს ამ რთულ მისიას ქართველმა მკვლევარმა შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო.

ის ეხება ამიანე მარცელინის ცხოვრების და მოღვაწეობის საკვანძო საკითხებს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ისტორიკოსის საქმიანობის პერიოდიზაციასთან და შიდა პერიოდიზაციასთან. ამ რაკურსით საკითხის განხილვა საინტერესო და აქტუალურია. დავიწყოთ იმით, რომ ამიანეს მოღვაწეობაში მნიშვნელოვან ნიშანსვეტად გვევლინება 363 წელი, როდესაც გარდაიცვალა. იმპერატორი იულიანე (361-363). აქ მთავრდება მისი სამხედრო კარიერა. ის იწყებს მოგზაურობას და აგროვებს მასალებს თავისი მომავალი წიგნისათვის. მეორე ასეთი საგულისხმო მომენტი უნდა ჩანდეს 383 წელი, როდესაც ის დასახლდა რომში. როგორც ის ფიქრობდა ასე უფრო უსაფრთხო იქნებოდა. არსებობს დიდი

ალბათობა, რომ დიდი რომაელი ისტორიკოსი დაიბადა 330 წელს და გარდაიცვალა 400 წელს. (10.7-9). აქ ის ახალს არაფერს ამბობდა და იზიარებდა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას. ცდილობს ფეხი აუწყოს, არ ჩამორჩეს თანამედროვე ისტორიოგრაფიას.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იულიანეს მმართველობამდელ პერიოდზე. როგორ აფასებდა ამ მონაკვეთს ამიანე მარცელინე? ის ვრცლად ჩერდება ორ საკითხზე. როგორი იყო ამიანე მარცელინეს დამოკიდებულება იმპერატორ კონსტანინე დიდის (306-337) და მისი ვაჟის კონსტანციუსისადმი (337-361). საკითხი არის საინტერესო და რთული. ავტორი ფიქრობს, რომ ამიანე ზედმეტად მკაცრი შეიძლება იყოს იმპერატორ კონსტანტინეს მიმართ, რაც ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ერთი ეს გახლავთ მისი რელიგიური პოლიტიკა, რომელიც იმ წრეში, რომელშიც ისტორიკოსი ტრიალებდა მხარდაჭერით არ სარგებლობდა და ამიანე მეტად უარყოფითად ეკიდებოდა მის შვილს კონსტანციუსს, რაც ქრისტიანული მონარქისადმი, წარმართული წრეების, რომელსაც განეკუთვნებოდა ამიანე, უკმაყოფილების ექოდ გაისმა. (10.5) მიუხედავად ყოველივე ამისა კონსტანციუსისადმი ამიანე მარცელინეს დამოკიდებულება დადებითი უნდა იყოს „ამიანე მარცელინეს აზრით, რომელიც ამ იმპერატორის ამა თუ იმ სუსტ მხარესთან ერთად, ზოგიერთ დადებით მომენტებსაც ხედავდა. კონსტანციუსი წლების განმავლობაში ასე თუ ისე მაინც ართმევდა თავს სიძნელეებს, შეინარჩუნა სახელმწიფო მთლიანობა და შინაურ სირთულეებსაც თავი გაართვა“. (10.12)

როგორ უყურებდა ამიანე მარცელინი ისტორიას? რა წყაროებს იყენებდა ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში? რამდენად იყო ჩახედული საკითხის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში? თეორიული საკითხებისადმი ამიანეს დამოკიდებულება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა ჩანდეს. ამ რაკურსით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ სადისერტაციო ნაშრომში ამაინეს თეორიული შეხედულებები შეიძლება განხილული იყოს შედარებით

უფრო მკრთალად, სუსტად. სასურველი იქნებოდა ამ საკითხის გაშუქებას ცოტა მეტი ყურადღება და ადგილი დასთმობოდა. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის განხილვას. უნდა ითქვას, რომ იგი ისტორიაზე საკმაოდ მაღალი აზრის ჩანს. მას პრაგმატიკული ისტორიოგრაფიის მიმდევრად და ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელად მოიაზრებდნენ, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა ცნობილმა ისტორიკოსმა თუკიდიდემ. (460-396) მას „ისტორია ესმოდა, ერთი მხრივ როგორც მოვლენათა განვითარება (რეს გესტაე), სადაც ადამიანები იბრძოდნენ ხელისუფლებისათვის, სახელმწიფოში გავლენისათვის და, მეორე მხრივ ქვეყნების, სახელმწიფოების ბრძოლა ერთმანეთთან პირველობისათვის. აი დაახლოებით ასეთივე შეხედულებისა იყო ამიანე მარცელინეც. სავსებით იზიარებდა იგი თუკიდიდეს შემდეგ შეხედულებას. „ჩემი ნაშრომი, სადაც არაფერია რაიმე ზღაპრული, შესაძლოა (ვინმესთვის) ნაკლებად მიმზიდველი იყოს, მაგრამ თუ ვინმე მოისურვებს შეისწავლოს წარსულ მოვლენათა სინამდვილე და მომავალი მოვლენების შესაძლებლობა, ჩემთვის საკმარისი იქნება, თუკი ჩემს ნაღვაწს სასარგებლოდ ჩათვლის“. (10.13)

ამიანე მარცელინეს ისტორიკოსის მთავარ თვისებად სამართლიანობა და ობიექტურობა ესახებოდა. ისტორიკოსის არაობიექტური პოზიცია და მიკერძოება ყოვლად წარმოუდგენლად ჩანდა. მისი ღრმა რწმენით, „ისტორიკოსი, რომელიც შეგნებულად დუმს მოვლენათა შესახებ, არანაკლებ სიცრუეს ჩადის, ვინემ ის ვინც თხზავს არასოდეს არ არსებულს“. (12.20) მისი ღრმა რწმენით, „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არის, და არა თვალთახმა ვისიმე“. დევიდ იუმის თქმით, „ისტორიკოსის უპირველესი თვისებაა იყოს მიუკერძოებელი“. შეიძლება ითქვას, რომ ამიანემ, სხვა ანტიკური ავტორების მსგავსად, კარგად გამოხატა ისტორიკოსის იდეალი. ისტორია სუბიექტური მეცნიერებაა. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი. სასურველი შესაძლებლად ხომ არ ესახებოდა? ადვილი შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში, საქმე გვქონდეს მის თეორიულ-შემეცნებით იდეალთან. ამ კუთხით მსჯელობის გაშლა სასურველი იქნებოდა და შინაარსობრივად

გაამდიდრებდა ამ საინტერესო ნაშრომს. უყურებდა თუ არა ამიანე ისტორიას როგორც დამოკიდებულ მეცნიერებას? ალბათ, არა. ისტორიას მეცნიერულ ღირებულებას მტკიცება ანიჭებდა. ბევრი ანტიკური ავტორის მსგავსად, ის ისტორიულ ნაშრომში აქცენტს აკეთებს ლამაზად თხრობაზე. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამიანე, სხვა ანტიკური ავტორების მსგავსად, ისტორიას სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთ ნაირსახეობად აღიქვამდა. რა თქმა უნდა, ეს მის თვალში არაფრით არ აკნინებს ისტორიის მნიშვნელობას.

ამიანე როგორც ისტორიკოსი საკმაოდ ინფორმირებული ჩანს და როგორც ერთსულოვნად აღნიშნავენ მისი ბიოგრაფები, მათ შორის ქართველი ავტორი, როგორც ისტორიული წყარო სავსებით სანდო და, სარწმუნოა. ეს ამიანეს თხზულების მთავარი პლუსია. მისი ნაშრომის მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. „ამიანემ მრავალრიცხოვანი წყაროები კი გამოიყენა, მაგრამ იგი მათ ბრმად არასოდეს მიჰყვებოდა, კვალდაკვალ ამოწმებდა, კრიტიკულად უდგებოდა, თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა. მისთვის მთავარი დასაყრდენი მაინც ის იყო, რაც თავის საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე პირადად ნახა. ისტორიკოსს საშუალება ჰქონდა დიდი მოვლენების უშუალო მონაწილეებთან და თანადამხვდურებთანაც ესაუბრა. მათი მონათხრობი ჩაეწერა და გაეთვალისწინებინა. მას შემდეგ, რაც არმიაში აღარ მსახურობდა, ის ხომ უკვე წინასწარი გეგმის მიხედვით მოგზაურობდა. ეს ყველაფერი ამიანეს ცნობებს სარწმუნოს ხდის“. (10. 16) წყაროებისადმი ამიანეს კრიტიკული დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და თუკიდიდეს გავლენის გამოძახილია (5.47-61. 13.159-170).

ამიანეს როგორც ისტორიკოსს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული საარქივო მასალის მნიშვნელობა. „ამიანეს როგორც ცნობილ მოღვაწეს და მწერალს, ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო არქივებამდე, რომელსაც ასე იოლად ვერავინ გამოიყენებდა. მას მოჰყავს კონსტანციუსის და შაპურ II-ის მიმოწერაც, ამიანე ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს საარქივო ცნობებს, რაც მისი შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „რომ ყველაფერზე დაწვრილებით მოთხრობა

ყოფილიყო საჭირო, მას ამისათვის სახელმწიფო არქივის ცნობებიც კი არ ეყოფოდა“. საინტერესოა, რომ ასეთი შეფასების მიუხედავად, ისტორიკოსი არც აქ კარგავს მისთვის ესოდენ დამახასიათებელ სიფრთხილისა და ობიექტურობის გრძნობას. კერძოდ, იგი არ ენდობა იმპერატორ კონსტანციუსის ედიქტებს, რადგანაც იგი უზომოდ აქებს თავის თავს. ამიანე ფართოდ იყენებს სხვადასხვა საარქივო დოკუმენტს, კერძოდ ისეთებს, რომელიც იმპერატორის შეურაცხყოფისადმი მიძღვნილ პროცესებს ეძღვნება“. (10.15-16).

კიდევ ერთი საინტერესო და რაც მთავარია სანდო წყარო, რომელსაც ფართოდ იყენებდა ამიანე დღიურებია. (10.16). აქ ამიანე სავსებით მართალია და წყაროთმცოდნეობაში დღიურები, მემუარებისაგან განსხვავებით, სარწმუნო წყაროდაა აღიარებული, რადგან ავტორი არ აპირებს მის პუბლიკაციას და წერს იმას, რასაც ფიქრობს. (14)

აღსანიშნავია, რომ ამიანე საკმაოდ ჩახედული ჩანს ისტორიოგრაფიის საკითხებში და ეს მისი როგორც ისტორიკოსის კიდევ ერთი პლუსია. „ძნელი დასასახელებელია მეორე რომაელი ისტორიკოსი, რომელიც ისე კარგად იცნობდა ანტიკურ მწერლობას, როგორც ამიანე მარცელინე“ (10.12) ცოტა უცნაური უნდა ჩანდეს ამიანეს დამოკიდებულება ცნობილი ისტორიკოსის ტიტუს ლივიუსისადმი. (ქრ.-შმდე 59-ქრ.შობის 17). „აქ ისტორიკოსი არ მიუთითებს ტიტუს ლივიუსს. საყურადღებოა ისიც, რომ ტიტუს ლივიუსს, რომლის ნაშრომსაც ამიანე შესანიშნავად იცნობს, მთელს „ისტორიაში“ ერთხელაც არ არის დასახელებული“ (10.17).

ამიანე მარცელინეს პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების და იულიანე განდგომილისადმი დამოკიდებულების განხილვა პროფ. გივი გამრეკელის ნაშრომის წონად ნაწილად გვევლინება.

დავიწყოთ ამიანეს პოლიტიკური შეხედულებებით: ის ორი ნაწილისაგან შედგება თავდაპირველად ის საუბრობს ამიანეს დამოკიდებულებაზე ძველი საბერძნეთის და რომის გამოჩენილი პიროვნებებისადმი. როგორ აფასებდა ამიანე მათ მოღვაწეობას. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური და მისი წინ წამოწევა

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს. ამის შემდეგ ის გადადის ამიანეს პოლიტიკური მრწამსის განხილვაზე.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამიანე, როგორც ჭეშმარიტი ელინი განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებდა და საკმაოდ მაღალი აზრის იყო ალექსანდრე მაკედონელზე (ქრ.-შმდე 356-323). მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ის არის გახლავთ ალექსანდრე მაკედონელის აპოლოგეტი და არ ეწევა მის იდეალიზაციას. ეს სწორი არ იქნება. ამიანე ცდილობს, რომ ალექსანდრე მაკედონელის შეფასების დროს ზღვარი დაიცვას. ზომიერების გრძნობა არ დაკარგოს. ის ცდილობს ობიექტური იყო. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად გვევლინება. (10.17.15).

ამიანე საკმაოდ დადებითი აზრის უნდა იყოს ცნობილ რომაელ სარდალზე სციპიონ ემილიანეზე, (ქრ.შ-მდე 185-129) რომლის სახელთანაც ასოცირდება ბრწყინვალე გამარჯვება კართაგენთან მესამე პუნიკურ ომში. (ქრ.-შმდე 149-146) ამიანეს დიდი სიმპათიით სარგებლობდა აგრეთვე ორატორი ციცერონი (ქრ.-შმდე 106-43) და პოლიტიკოსი და სარდალი გნეუს პომპეუსი (ქრ.-შმდე 106-48) (10.17) პომპეუსისადმი ამიანეს დამოკიდებულება გადაჭარბებულად გვეჩვენება. ამიტომ სასურველი იქნებოდა ამ მიმართულებით მსჯელობის უფრო ფართოდ გაშლა. ეს პოლემისტურ მუხტს შესძენდა საკითხის განხილვას და, ვფიქრობთ, უფრო საინტერესო იქნებოდა.

ყურადღებას იპყრობს ამიანე მარცელინეს ინდიფერენტული დამოკიდებულება გაიუს იულიუს კეისრისადმი. (ქრ.-შმდე 100-44) საგულისხმოა, რომ თავის თხზულებაში ამიანე ცეზარის სახელს სულ სამჯერ მოიხსენიებს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ცეზარი ამიანეს სიმპათიით არ სარგებლობდა. მას არ მოსწონს ცეზარის დიქტატორული მისწრაფებები“. (10.17. 15.16)

პროფ. გივი გამრეკელი ხაზს უსვამს, რომ ამიანე მარცელინი არც პირველ იმპერატორს ოქტავიანე-ავგუსტს (ქრ.-შმდე 30-ქრისტესშობის 14) უნდა სწყალობდეს. „როგორია ამიანეს დამოკიდებულება ისეთი იმპერატორისადმი როგორიც ავგუსტუსი

იყო? „ისტორიკოსი იმპერატორს პირდაპირ არ ესხმის, მაგრამ მისი ერთ-ერთი უახლოესი პირის ეგვიპტის მმართველ კორნელიუს გალუსის აუგად მოხსენიება ჩვენ ავგუსტუსის არაპირდაპირ გამტყუნებად გვეჩვენება“. (10.17.16) საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ამიანე საკმაო კეთილგანწყობილებას ამჟღავნებს ყველა იმ პიროვნების მიმართ, ვინც არ ემხრობოდა დიქტატურის დამყარებას“ (10.18)

როგორც ხედავთ, იმპერატორებისადმი ამიანე მარცელინეს დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება მისი შეხედულება იმპერატორ მარკუს ავრელიუსზე (161-180) და იულიანე განდგომილზე (361-363). მათ მოღვაწეობას ამიანე დადებითად აფასებს. ამ შემთხვევაში ამიანე კვალში მიყვება რომაულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ ტრადიციას „კარგ იმპერატორებზე“. (10.18) კალიგულას, (37-41), ნერონს (54-68), დომიციანეს (81-96), კომიდუსს (180-192) კი მეტად ნეგატიურად აფასებს. (10.18) „მაშინაც კი, როცა ამიანე აქებს ამა თუ იმ იმპერატორს იგი ამ მხრივ ყოველთვის ზომიერებას იჩენს. არსად არ ჩანს აშკარა ხოტბის შესხმის ცდა, რომელსაც ბევრ ისტორიკოსთან ვხვდებით. ვთქვათ იმავე ველიუს პატერკულუსთან ან ვალერიუს მაქსიმუსთან. მათ მიერ ტიბერიუსის ქება ყოველგვარ წრესგადასულია. ამიანეს ზომიერება მაშინაც კი შესამჩნევია, როდესაც იგი თავის საყვარელ იულიანეზე ლაპარაკობს“. (7.19) ხაზგასმულია ამიანეს როგორც ისტორიკოსის მთავარი პლუსი. ობიექტურობისაკენ მისწრაფებაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ამის შემდეგ ის გადადის ამიანეს პოლიტიკური შეხედულებების განხილვაზე. ამიანე მარცელინე მონარქისტია. მისი პოლიტიკური იდეალი მონარქია. „ამიანე ქმნის მმართველის იდეალს, რომელიც განყენებულის და ცხოვრებისაგან დაშორებულის ხასიათს ატარებს. ისტორიკოსი ისეთი ძლიერი მონარქისტული წყობილების მომხრეა, რომელსაც სათავეში უნდა ედგეს გულმოწყალე, სამართლიანი კეთილშობილი, განათლებული მონარქი... ნამდვილი მმართველი არ შეეცდება თავისი პირადი ქონების გაზრდას, ვნებებს

დაიოკებს, მრისხანე არ იქნება, იმპერატორის ძალაუფლება ისეთი რამეა, რომ შეუძლია მის მფლობელს სერიოზული ნაკლიც კი დააძლევინოს“. (10.19) როგორც ხედავთ, ამიანე მარცელინე მეტისმეტად ოპტიმისტურადაა განწყობილი და ილუზიების ტყვეობაში იმყოფება. „რა თქმა უნდა, ესოდენ ძალისა და ერუდიციის მწერალი რომაელების გარკვეულ ნაწილს იმედს აძლევდა, მაგრამ მისი მოსაზრებები, როგორც ეს სულ მალე გახდა ნათელი, არაფრით არ იყო გამაგრებული, რომის იმპერია დაღუპვის პირასაა მისული - მისი ნამდვილი მიზეზები ამიანესთვის გაუგებარი დარჩა. მომავლის განჭვრეტის უნარი ამ დიდად განსწავლული ისტორიკოსს არ ჰქონდა“. (10.24)

ყურადღებას იპყრობს ამიანეს დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. მან ქართული ისტორიორაფიაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. ერთნი აღნიშნული საკითხისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და სკეპტიკურად ჩანან განწყობილები. ვერ ვიტყვით თითქოს „ამიანეს ცოტა რამ აქვს მოთხრობილი მოსახლეობის ფართო ფენებზე“. (5.272) ამგვარი პესიმისტური ტონი ნებსით თუ უნებლიედ გამუქებულ წარმოდგენას გვიყალიბებს აღნიშნულ საკითხზე. ამ პრობლემისადმი ავტორის მიდგომა შედარებით უფრო რეალისტური გვეჩვენება, სავსებით ვეთანხმებით მას, რომ ამ თემაზე ამიანეს მსჯელობა საინტერესოა და, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. ის თავს არიდებს ქართველ ისტორიკოსთან მეცნიერულ პაექრობას, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. რით არის განპირობებული ასეთი ნაბიჯი, ძნელი სათქმელია.

დავიწყოთ საშუალო ფენით, რომლის ძლიერებაზე დიდად იყო დამოკიდებული რომის სახელმწიფოს დიდება და ძლევამოსილება, ხოლო საშუალო ფენის დამცრობა, დაკნინებას, თან მოყვა რომის იმპერიის დასუსტება. გამოიწვია კრიზისი. ამიანეს, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული საშუალო ფენის ადგილი და მნიშვნელობა. „ჩვენი აზრით, ამიანეს შეხედულებები საშუალო

კლასის მდგომარეობისა და როლის შესახებ სავსებით სწორია და დასტურდება თუნდაც იმით, რომ ხერხემალგადატეხილი საშუალო კლასის გარეშე, რომელსაც უკვე აღარ ანაღვლებდა სახელმწიფოს ინტერესები და მხოლოდ ყოველდღიურ პრობლემებზე ფიქრობდა, იმპერიის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, ვერც დასავლეთში და ვერც აღმოსავლეთში სტაბილიზაციის შენარჩუნება, რასაც მალე რომისთვის სავალალო შედეგები მოყვა“. (10.21)

დემოკრატიაზე ამიანე, ეტყობა, მაღალი აზრის არ ჩანს. „ამიანე არანაკლებ მკაცრად აკრიტიკებს რომის მოსახლეობის დაბალ ფენებსაც, ჩვენი ისტორიკოსის დამოკიდებულება პლებსისადმი - ეს არის არისტოკრატიის დამოკიდებულება, რომელსაც მეტად აშფოთებდა სახელმწიფოს ბედი და რომელიც თვლის, რომ სწორედ გახრწნილი ბრბო დაღუპავს მას“. (10.20)

საინტერესოა ამიანეს დამოკიდებულება მონებისადმი. მისი პოზიცია გაცილებით უფრო ჰუმანური და პროგრესული უნდა იყოს. უწინარესად აღსანიშნავია, რომ ის მონას არ აღიქვამს, როგორც „მოლაპარაკე იარაღს“. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. „ისტორიკოსი თვლის, რომ ბატონს არ აქვს უფლება მონას სიცოცხლე წაართვას. იგი გმობს სპარსელთა ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც „ისეთი სასტიკები არიან, რომ მონებისა და „დაბალი ფენების“ ადამიანების მიმართ სიკვდილ-სიცოცხლის უფლებასაც კი ითვისებდნენ“. რომშიც, სენეკას მოწმობით, დაახლოებით ასეთი წესები იყო, თუმცა ეს თვით ფილოსოფოსს არ ეხებოდა. იგი ხშირად თავის საყვარელ მონებს (ფილოსოფიის საკითხში განსწავლულებს, სავარაუდოდ ბერძნული წარმოშობის ადამიანებს), მაგიდასთან სვამდა და მათთან ერთად სადილობდა“. (10.23) გვიან ანტიკურ ხანაში მონების ხვედრითი წონა სულაც არ იყო ისეთი დიდი, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. „ჩვენ ვიზიარებთ იმ ისტორიკოსების მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ მონები რომის იმპერიის უკანასკნელი პერიოდისათვის მაინც შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ“. (10.23) სავსებით სწორი მიდგომა იყო.

მას როგორც სამხედროს, ბუნებრივია, აღელვებდა, რომის არმიაში მიმდინარე უკუსვლა. მოწინავე პოზიციებზე სულ უფრო

ხშირად ვხედავთ გერმანელებს. ისინი ანაცვლებენ რომაელებს. ამიანე წინააღმდეგი იყო რომის არმიის „პრობარბარიზმის“, მაგრამ მას უკვე ნაკლებად ძალუძდა რამე შეეცვალა. (10.22-23)

„ძველი რომის იდეალიზაციამ ის გამოიწვია, რომ რეალურად არაფერი იქნა გაკეთებული ახალი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ამიანე მცდარად აფასებდა მის დროს შექმნილ ვითარებას. ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებდა წარსულის მოვლენებს. მისი ოპტიმიზმი იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუკი ისტორიკოსს კრახის თავიდან აცილების რაიმე გეგმა ექნებოდა, მაგრამ ეს ამიანეს ძალებს აღემატებოდა“. (10.25)

ყურადღებას იპყრობს ევროპული ისტორიოგრაფიის მოკლე მიმოხილვა. ის ამ საკითხში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. ის ეხება ამ საკითხზე ისტორიკოს გრანტს და ჯონსს შორის ატეხილ პოლემიკას. ქართველი მკვლევარი სავსებით იზიარებს ისტორიკოს გრანტის თვალსაზრისს, როდესაც ამიანეს შეფასება მისაღებად ესახება. ამ საკითხზე დიამეტრულად საპირისპირო მოსაზრება გამოთქვა ისტორიკოსმა ჯონსმა. ის ამიანეს ცნობებისადმი უფრო კრიტიკულადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ „საშუალო კლასის მდგომარეობა რომში არ შეიძლება ასეთი მძიმე ყოფილიყო“. ჯონსი აკრიტიკებს ამიანეს და უფრო იმ მოსაზრებისაკენ იხრება, რომ ამიანე ამუქებდა სიტუაციას. ქართველი ავტორი, გრანტის მსგავსად, ასე არ ფიქრობს. მან სცადა თავისი პოზიციის დაფიქსირება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ჩვენი აზრით, ის ნაშრომის სიახლის ერთ-ერთ ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ. (10.21)

„ვერ ახერხებს სახელმწიფოს დაცემის მიზეზებში ბოლომდე გარკვევას და შეიძლება ითქვას ხშირ შემთხვევაში ილუზიებით იკვებებოდა. დარჩა რომაელ პატრიოტად, რომელმაც ღრმად განიცადა თავისი საყვარელი სახელმწიფოს უკუსვლა“. (10.25)

ამის შემდეგ ის, ბუნებრივია, ჩერდება ამიანე მარცელინეს დამოკიდებულებაზე იმპერატორ იულიანესადმი (361-363). თემის განხილვას გააჩნია ორი მხარე. წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული. რამდენად სანდოა ამიანეს თხზულება, როგორც

იულიანეს მოღვაწეობის წყარო და როგორ აფასებს ის იულიანეს მოღვაწეობას? ორივე ეს საკითხი საინტერესოა.

პირველ ყოვლისა, ის ხაზს უსვამს იულიანეზე ამიანეს თხზულების წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას. ის ამ ეპოქის ისტორიის, იულიანეს მმართველობის, შესწავლის, სარწმუნო წყაროდ გვევლინება. ეს, ცხადია, მისი დიდი პლუსია. „იულიანეზე სხვა ისტორიკოსებიც ბევრს წერდნენ, ზოგი სიძულვილით, ზოგი-აღტაცებით, მაგრამ აშკარაა, რომ ყველაზე საყურადღებო მაინც ამიანეს ცნობებია“. (10.28) ეს იყო მედლის ერთი მხარე, წყაროთმცოდნეობითი. მედალს გააჩნია მეორე მხარე. ისტორიოგრაფიული.

ამიანე, ბუნებრივია, ცდილობს გაიაზროს და შეაფასოს იულიანეს მოღვაწეობა. მისი ეს მსჯელობა საინტერესოა და ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ეს კიდევ ერთი ახალი წახნაგია, რაკურსია. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ამაინეს XXV წიგნი. იულიანესადმი ამიანეს დამოკიდებულებაზე ისტორიკოსები, სწორედ ამ მონაკვეთის მიხედვით მსჯელობენ. ამიანეს სიმპათია, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ „მას იმპერატორის მთავარ ღირსებად სამხედრო საქმის კარგი გაძღოლა ესახებოდა“. (10.26)

ამიანეს გამოცხადება იულიანეს აპოლოგეტად, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ზედაპირზე ძევს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება ადვილი საქმე არ იქნება. ამიანე მარცელინეს თხზულება არ წარმოადგენს იმპერატორ იულიანეს პანეგერიკს, როგორც ამას ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობდა. ფაქტობრივად, მათ თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა ამიანეს კრიტიკული პათოსი, როდესაც ის იულიანეს მმართველობას საკმაოდ კრიტიკულად აფასებს. ისტორიკოსთა მეორე ნაწილი, მათ შორის ქართველი მკვლევარიც, ცოტა სხვა აზრისა. „ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ ისტორიკოსი იულიანეს ცხოვრებას და მოღვაწეობას პირობით ორ ეტაპად ყოფს. დასაწყისში როცა იგი თანამმართველი იყო და ამდენად კონსტანციუს ემსახურებოდა,

იულიანე მხოლოდ კარგ საქმეებს აკეთებდა. წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და ისტორიკოსის აღტაცებული შეფასება დაიმსახურა. სხვა საკითხია, რომ როცა იმპერატორი გახდა ძლიერ შეიცვალა. შეცდომები მოუვიდა და ბედმაც უმტყუნა. ამიანეს აზრით, მისი დაღუპვა იმ ცვლილებების ლოგიკური შედეგი იყო, რაც იმპერატორის სულში ხდებოდა“ (10.28).

ცოტა უფრო ქვემოთ ის დასძენს, „ანტიკურმა მწერლობამ პანეგერიკების არაერთი მაგალითი დაგვიტოვა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება გასაგებია დიდი სიფრთხილით ეკიდება. თუნდაც ჟანრის თავისებურების გამო. ამ შემთხვევაში მეტად ემოციური ტონის მიუხედავად, ჩვენი აზრით, ამიანე იულიანეს მოღვაწეობის შეფასებისას სავსებით ობიექტური ჩანს“. (10.29) აქ, ვფიქრობთ, ყველაფერი გამჭვირვალეა.

შემდეგი აქტუალური თემა, რომელზეც საუბარია ნაშრომში წმინდა კონფესიური დატვირთვა გააჩნია და მიზნად ისახავს განიხილოს ამიანე მარცელინეს რელიგიური შეხედულებები. თემა არის სერიოზული და მის გამორკვევას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია. მას გენეტიკური კავშირი აქვს ამიანეს პოლიტიკურ შეხედულებებთან და მის გაგრძელებად გვევლინება. „ამიანეს, წარმართს, საკუთარი რელიგიის მიმართ ფანატიზმის ნასახიც კი არ აქვს. პირიქით, შეიძლება შეიქმნას კიდეც შთაბეჭდილება მისი გულგრილობის შესახებ. აქ უნდა ჩანდეს ნეოპლატონიზმის გავლენა. ამ გარდამავალი ეპოქის საყურადღებო მოვლენა იყო ის, რომ ბევრი არც წარმართობასთან წყვეტდა კავშირს, მაგრამ არც ქრისტიანობის მოწინააღმდეგე იყო, არამედ ეკლექტიკოსი, რომელიც ერთისა და მეორე რელიგიისაგან იმას იღებდა, რაც მოსწონდა. ასეთი ადამიანების რიცხვს, ეტყობა, ამიანეც მიეკუთვნებოდა“. (10.32)

ამიანეს სწამს ბედის, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, ყოვლისშემძლე ღვთაების ნებას ასრულებს. იგი მკაცრად გამიჯნავს ერთმანეთისაგან ორ მცნებას ბედს და შემთხვევითობას და ფიქრობს, რომ შემთხვევითობას ისტორიაში დიდი როლი ეკისრება. (10.33)

ასეთი სურათი იკვეთება. „ერთი სიტყვით, ამიანე თავისი დროის შვილია, მთელი თავისი მიგნებითა და შეცდომებით. ამ დროს

არც წარმართობას აქვს თავისი პოზიციები საბოლოოდ დათმობილი. ქრისტიანობაც საგრძნობ წინააღმდეგობას ხვდება. ყოველივე ეს ამიანეს მსოფლმხედველობაზე, უდავო, გავლენას ახდენს“. (10.33) ამიანეს ქრისტიანობაზე საუბარი დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. დღეს ყველა აღიარებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი ავტორიც, რომ ამიანე იყო წარმართი. ეს სწორი მიდგომაა.

ნაშრომის დასასრულს განხილულია სამი საკითხი: „ამიანე გარესამყაროს შესახებ“ (10.33-35), „ამიანე რომის და სპარსეთის ომის და საქართველოს შესახებ“ (10.35-39). და ბოლოს „ამიანე მარცელინე საუკუნეთა მანძილზე“. (10.39-40).

დავიწყოთ პირველი „ამიანე გარესამყაროს შესახებ“. როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, აქ საუბარია რომის იმპერიის ურთიერთობებზე სხვა ქვეყნებთან. რომის იმპერიის ყველა მეზობელ ხალხს ამიანე შეიძლება ითქვას ორ ჯგუფად ყოფს. „ცივილიზრებულ სპარსელებად და ყველა დანარჩენებად ანუ ბარბაროსებად“. (10.33) აქ ის მრავალ საჭირბოროტო საკითხს განიხილავს. „მრავალი ბარაბროსული ხალხისა თუ რომთან დაპირისპირებული ცივილიზებული სამყაროს აღწერისა, თუ შესაძლებლობათა შეფასების შემდეგ ავტორს გამოაქვს სრულიად სამართლიანი დასკვნა, რომ მის სახელმწიფოს მეტად სერიოზული საფრთხე ემუქრება, ამასთან ამიანეს ეჭვიც კი არ ეპარება, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებულები რომაელები გამოვლენ“. (10.35) მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ამიანეს სასურველი შესაძლებლად ესახებოდა.

შემდგომი საკითხი ნაშრომის ამ მონაკვეთში ყველაზე საინტერესოდ მიგვაჩნია და საქართველოს ისტორიასთან ასოცირდება. „ამიანე რომისა და სპარსეთის ომის და საქართველოს შესახებ“. ამ კონტექსტში საქართველოს გამოჩენა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და, უწინარესად, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით გახლავთ განპირობებული. ამიანეს მსჯელობას ორი მხარე გააჩნია, წმინდა წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული. რამდენად სანდოა ამიანეს თხზულება როგორც საისტორიო წყარო საქართველოს

ისტორიის შესწავლის დროს და როგორ აფასებდა ის საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებს, რომელსაც შეეხება. „ამიანე დიდ ინტერესს იჩენს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც რომისა და სპარსეთის გაუთავებელ კონფლიქტში იყვნენ ჩართული. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სომხეთი და საქართველო“. (100.35) ამიანეს თხზულებაში წავაწყდებით ცნობებს ძველი საქართველოს ისტორიაზე. „ამიანე მარცელინეს ცნობები ცალკეული შეცდომების მიუხედავად, უდავოდ, ძვირფასი წყაროა IV საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში“. (10.39)

შემდეგი თემა „ამიანე მარცელინე საუკუნეთა მანძილზე“ ამ საინტერესო ნაშრომის დასკვნით აკორდად გვევლინება. ფაქტობრივად, ისევ ისე საქმე გვაქვს საკითხის ისტორიოგრაფიასთან. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი ზედმეტია და განაპირობებს ტავტოლოგიას, რომლის თავიდან აცილება ძალიან ადვილად შეიძლებოდა. სასურველი იქნებოდა მასალის კომპაქტურად დალაგება და ერთ ადგილას განხილვა. ასეთად შესავალი ან პირველი თავი გვესახება. სასურველი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო თუ როგორ არის გაშუქებული ამიანეს შემოქმედება ქართულ რეალობაში. ქართველი ავტორებიდან ვინ ეხებოდა ამ საკითხს და რა რაკურსით. რა თქმა უნდა, ძალიან შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს პროფ. გივი გამრეკელი არ იცნობდა ამიანეზე ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურას. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა. ამიტომ ქართული კონტექსტისადმი ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება ცოტათი მოულოდნელად მიგვაჩნია და ძნელი სათქმელია, რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

და ბოლოს დასკვნა სადაც ის ცდილობს შეაჯამოს ჩატარებული სამუშაო. (10.40-42) დასკვნა არ უნდა ატარებდეს თხრობით, აღწერით, ხასიათს მას უნდა გააჩნდეს ანალიტიკური მუხტი, პროფ. გივი გამრეკელის საინტერესო გამოკვლევის „ამიანე მარცელინე როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე“ დასკვნა, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტავტოლოგიის ნიშნებს აქაც ვხვდებით. ასეთად მიგვაჩნია საკითხის ისტორიოგრაფიისათვის ხელახლა დაბრუნება, ისეთი შთაბეჭდილება

გვექმნება, რომ მან თავის ნაშრომში, როგორც ჩანს, ვერ გამონახა ამ პრობლემის განხილვის ოპტიმალური ადგილი. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ამის გაკეთება შესავალში ან პირველ თავში.

ნაშრომში მეცნიერული კვლევის ელემენტები წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით: 1. მან გულდასმით შეისწავლა წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ქართულ, ისე რუსულ და გერმანულ ენაზე. თავი მოუყარა მდიდარ მეცნიერულ ინფორმაციას და გამოიტანა საინტერესო დასკვნები. ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ ის არ იზიარებს ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის მოსაზრებებს და მხარს უჭერს ისტორიკოსთა მეორე ჯგუფს, რომელიც, მისი შეხედულებით, ამ საკითხს გაცილებით უფრო სწორედ, შეიძლება, აფასებდეს. ის ცდილობს ამ საკითხზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. საქმე გვაქვს საკითხისადმი პროფესიულ მიდგომასთან, რაც, აღნიშნულ პრობლემებზე მისი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ნაშრომის ერთგვარ სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ. 2. მართალია, ძალიან ცოტა და იშვიათად, მაგრამ მაინც არის რაღაც სიახლეები, საინტერესო მიგნებები, დაკვირვებები, ვარაუდები, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ ნაშრომის შესახებ ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ასეთად მიგვაჩნია: ა. ამიანეს როგორც ისტორიკოსისადმი არასტანდარტული მიდგომა. მისი ღრმა რწმენით, ამიანე არ იყო ტაციტუსის უბრალო მიმბაძველი, ეპიგონი, როგორც ამას ფიქრობდნენ მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში. მას მიაჩნია, რომ ამიანეს სახით საქმე გვაქვს ტაციტუსის ღირსეულ გამგრძელებელთან. ამგვარი დამოკიდებულება გაცილებით სწორი უნდა იყოს და გაცილებით უფრო მისაღები უნდა ჩანდეს. ასეთია მისი პოზიცია. ის ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი აქვს ამ სფეროში ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ეს ნაშრომის კიდევ ერთი პლუსი და ამის გვერდის ავლა სწორი არ იქნებოდა. ბ. ის უფრო იმ აზრს უნდა იზიარებდეს, რომ ამიანე იმპერიას რომაელების და ბერძნების

სახელმწიფოდ აღიქვამდა და მათში, პირველ ყოვლისა, თანასწორუფლებიან პარტნიორებს ხედავდა, რაც შეხება ამ სახელმწიფოში მცხოვრებს სხვა ხალხებს, ამიანე მათზე ძალიან დაბალი აზრისაა. ის ცდილობს გამოთქვას თავისი მოსაზრება, რამ განაპირობა ამიანეს მკაცრი დამოკიდებულება იმპერატორ კონსტანტინე დიდისადმი. ის ყურადღებას მიაპყრობს ორ გარემოებას: წმინდა კონფესიურ მხარეს და მისი შვილის კონსტანციუსისადმი ამიანეს უარყოფით დამოკიდებულებას. (10.5)

აქვე უნდა დავძინოთ, რომ სასურველი იქნებოდა მისი ორივე დისერტაციის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ცალკე წიგნად, მონოგრაფიის სახით, გამოქვეყნება. მაგრამ რატომღაც ასე არ მოიქცა. რატომ შეიკავა თავი ამის გაკეთებისგან ძნელი სათქმელია. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ მან ქართულ ანტიკოლოგიაში შედარებით უფრო მოკრძალებული კვალი დატოვა, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. მისი ორივე ეს ნაშრომი. „სალუსტიუსი როგორც ისტორიკოსი“ და „ამიანე მარცელინე როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე“, ფართო საზოგადოებისათვის გაცილებით ნაკლებადაა ცნობილი და მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეა საქმის კურსში. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ დარგში მის მიერ შეტანილი წვლილი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოგვეტანა. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ, ეტყობა, მან ვერ გამოძებნა სპორტული ჟურნალისტიკის და მეცნიერული კვლევის შეხამების, შერწყმის, ოპტიმალური ვარიანტი და ქართულ ანტიკოლოგიაში იმაზე გაცილებით უფრო მოკრძალებული კვალი დატოვა, ვიდრე სინამდვილეში ხელეწიფებოდა. ხომ არ აღმოჩნდა სპორტული ჟურნალისტიკა შედარებით უფრო პრიორიტეტული? რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია.

***

პროფ. გივი გამრეკელმა თავისი წვლილი შეიტანა ძველი მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. მისი სამეცნიერო-

პოპულარული ნარკვევების არეალი მეტად ფართოა და მოიცავს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების და ანტიკური სამყაროს ისტორიის საკვანძო საკითხებს. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და კომპილაციას წარმოადგენს. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს იყო, სწორედ, მთავარი.

1991 წელს გამოვიდა მისი საინტერესო წიგნი „მოგზაურობა ძველ წიგნთსაცავებში“. ეს იყო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები, რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ის პოპულარული ენით მოუთხრობს ქართულ საზოგადოებას ძველი წიგნსაცავებზე. ფაქტობრივად, ეს არის ბიბლიოთეკების ისტორია.

ყურადღებას იპყრობს 2010 წელს გამოქვეყნებული, პატარა, მაგრამ საკმაოდ შინაარსიანი წიგნი „ჩინგიზ-ხანური სოციალიზმს გადარჩენილი ქართველები“. ეს წიგნი, რა თქმა უნდა, არ შეხება ძველი ქვეყნების ისტორიას. აქ ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულ სხვა ამპლუაში მოგვევლინება და საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს XX საუკუნის, კონკრეტულად კი, საბჭოთა კავშირის, ისტორიაში, რომლისადმი მისი დამოკიდებულება მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. რაც, სხვათა შორის, კარგადაა გამჟღავნებული წიგნის სათაურში. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი ეკუთვნის რუს ემიგრანტ მწერალს რომან გულს. აბა არაემიგრანტი მწერალი, ცხადია, ამას ვერ იტყოდა.

ყურადღებას იპყრობს და წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია მის კიდევ ერთ წიგნს „ისტორიის გამოცანები“, რომელიც 2012 წელს გამოვიდა. ის სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ისტორიის პოპულარიზაციას. დღეს ისტორიის ცოდნა საკმაოდ დაბალ დონეზეა. ეს წიგნი დაგვეხმარება ამ ხარვეზის გამოსწორებაში. მისი მნიშვნელობა, სწორედ ამაში მდგომარეობს.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ძველი ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში აქცენტი კეთდება უმთავრესად, თეორიულ საკითხებზე. ძველი ქვეყნების ისტორიის

წყაროთმცოდნეობაზე და ისტორიოგრაფიაზე. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს არა მარტო მისი ნაშრომი სალუსტიუსზე და ამიანე მარცელინიზე, არამედ სამეცნიერო პოპულარული მიმოხილვები სხვა ისტორიკოსებზე. მათი ჩამონათვალი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. ლუკიანე, თუკიდიდე, ჰეროდოტე, ტაციტუსი, ქსენოფონტე, პოლიბიოსი, პლუტარქე, სვეტონიუსი, კურციუს რუფუსი. ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია მისი საინტერესო სტატია, დიდ გერმანელ ისტორიკოსზე თეოდორ მომზენზე (1817-1903). ცალკე უნდა გამოვყოთ მისი საინტერესო სამეცნიერო პოპულარული ნაშრომი საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მესაძირკვლეზე პროფ. ალექსანდრე წერეთელზე, რომელიც ასევე ისტორიოგრაფიული ხასიათისაა.

***

ბ-ნ გივის შემოქმედების მიმოხილვა სრული არ იქნებოდა თუ არ შევეხებით კიდევ ერთ თემას. მის საქმიანობას სპორტულ ჟურნალისტიკაში. მასზე დაწერილი ნაშრომი, სწორედ, ამ თემაზე საუბრით უნდა დავასრულოთ. ეს არ იყო ჩვეულებრივი ჰობი. ეს ამაზე ცოტა მეტია. შეიძლება კიდევ ერთი იქნებ, პირველიც სპეციალობაცაა. მან ამ სფეროში უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ნაყოფიერად იღვაწა და თავისი კვალი დატოვა ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ისტორიაში და ამის გვერდის ავლა სწორი არ იქნებოდა. მან დაწერა რამდენიმე წიგნი და მრავალი ასეული საგაზეთო სტატია. ბუნებრივია, გაჩნდება ეჭვი, რომ ასეთი ინტენსიური საქმიანობა ამ სფეროში ხელს ხომ არ უშლიდა მას უფრო პროდუქტული ყოფილიყო სამეცნიერო საკვლევო ასპარეზზე? კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ ჩვენ ფრთხილ ვარაუდს გამოვთქვამთ. მოკლედ გადავავლოთ თვალი ამ წიგნების ჩამონათვალს. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ ეს წიგნები ძირითადად დაწერილია ფეხბურთზე და ჭადრაკზე.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მისი წიგნი „100 წლის ფეხბურთი“, რომელიც 1963 წელს გამოვიდა, როდესაც ამ პოპულარულ თამაშს 100 წელი შეუსრულდა. ეს მისი პირველი წიგნი

იყო. ის ჩემი საყვარელი წიგნია და დღემდე ჩემს სამაგიდო წიგნად რჩება. მისი გადაფურცვლა დღესაც დიდ სიხარულს და სიამოვნებას მგვრის. ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა უნგრეთის „დიდ გუნდზე“ და ბრაზილიის სახელგანთქმულ ნაკრებზე მონათხრობმა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი დრო გავიდა მე დღესაც ამ ორი გუნდის თაყვანისმცემლად ვრჩები. ფეხბურთზეა დაწერილი მისი წიგნები: „გუნდები და ვარსკვლავები“, „ოქროს ბურთი“, „მხიარული და სერიოზული პაიჭაძე“. ის დიდ პოპულარობას უწევდა საზღვარგარეთის ფეხბურთს.

ცალკე თემაა ჭადრაკი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საჭადრაკო მიმომხილველი იყო. ეს არცაა გასაკვირი. თვითონ იყო კარგი მოჭადრაკე. თამაშობდა ტურნირებში. გახლდათ ოსტატი. ამიტომ ამ სფეროში მისი საქმიანობა პროფესიულ ხასიათს ატარებდა. ჭადრაკზეა დაწერილი მისი წიგნები: „ჩემპიონები და პრეცედენტები“, „არდადეგები არასოდეს დგება“. ამ თემატიკაზე მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ასეული საგაზეთო სტატია.

პროფ. გივი გამრეკელი იყო არამარტო თავისი საგნის კომპეტენტური სპეციალისტი, არამედ არაჩვეულებრივად ერუდირებული პიროვნება: ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი, ჩინებული სპორტული ჟურნალისტი, ძირძველი ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი.

ბიბლიოგრაფია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, პროფესორ გივი გამრეკელის პირადი საქმე. N7485;

Эд.Фримен, Методы изучения истории, М., 1905;

Г.Гамрекели, Саллюстии как историк-Автореферат диссертации на соисканиие ученной степени кандидата исторических наук, Тб., 1970;
მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII კონფერენცია. თბ., 2015;
ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები. თბ., 1998;
გ. გოზალიშვილი, ძველი ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1951;
ალ. წერეთელი, ძველი რომი, ნაწილი მეორე, თბ., 1961;
გ. ქავთარია, რომის ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 2016;
ისტორიის შესახებ, თბ., 2010;
გ. გამრეკელი, ამიანე მარცელინე როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004;
ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, თბ., 1984;
გ. ყორანაშვილი, პროფესია ისტორიკოსი, თბ., 1986;
ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 2003;
И.Биск, Курс лекции по источниковедению новой и новеишей истории, Тамбов, 1971. В. Пономариов, С. Рафалчук, О. Никонов, Источниковедение новой и новеишей истории, М., 2012. И. Григорьева, Источниковедение по новой и новеишей истории ,Стран Европы и Америки, М., 2017;
პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975. А. Шахермаир, Александр Македонскии, М., 1984. მ. ალექსიშვილი, ალექსანდრე მაკედონელი, თბ., 1950. ლ. სანიკიძე, ალექსანდრე მაკედონელი, თბ., 1984.
ცეზარის განდიდების მთავარ ტონის მიმცემად, რა თქმა უნდა, დიდი გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი გვევლინება. იხ. Т. Моммзен, История Рима, Т., 3. от смерти Суллы до битви при Тапсе, М., 1941. გვ. 472-475. ცეზარის მოღვაწეობის შეფასებისას დიამეტრულად საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებდა ისტორიკოსი გულერმო

ფერერო. ის სულ სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდა და მასში “გენიალურ ავანტიურისტს “ ხედავდა. გ. ფერერო, იულიუს კეისარი, თბ., 2016. ლ. სანიკიძე, ცეზარიადა, თბ., 1989. მ. ალექსიშვილი, გაიუს იულიუს ცეზარი, თბ., 1961;